№ 263 შაბათი, 22 ივნისი 1918 წ. № 263

# სახალხო საქმე

მთავარი კომიტეტის ორგანო

ბორჩალოს მაზრაში მთავრობამ დელეგაცია გაგზავნა.—გორონცოვკაში გერმანული ჯარი ჩავიდა და თათრების ბრბოებს იარაღი აჰყარა.—მთავრობამ დაადგინა დაარსდეს ტფილისში ქართულ-რუსული უმაღლესი სასწავლებელი.—საინტენდანტოს დაწვის გამო 13 კაცია დაპატიმრებული

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 60 კაპ., უკანასკნელზე—30 კაპ., ... ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ—1 მ., უკან—50 კ. ... 15×2 ღირს 10 მან., 20×2 ღირს 15 მან., ... „სახალხო საქმეში" (... „ნადელიდან") ... სახლი № 14
... ორი მანეთით მეტი.
... განცხადება კავკასიის გარეშე, მიიღება მხოლოდ რედაქციაში.

ხელის-მოწერა და განცხადებები მიიღება „სახალხო საქმის" რედაქციაში და კანტორაში ... დილის 9 საათიდან 3-მდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, ... წერილები და კორესპონდენციები ... არ იბეჭდება; ...
რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, ... № 8.
... Тифлисъ „Сахалхо Сакмэ", ... 190.
ფასი ტფილისში და პროვინციაში 40 კაპ. რკ. გზის სადგურებ. 50 კაპ.
ტელეფონი 12—29


## სახელმწიფო თეატრი

კვირას ივნისის 23-ს

პროფესორ კ. მინიარის და კ. ფოცხვერაშვილის ხელმძღვანელობით გაიმართება ლტოლვილთა სასარგებლოდ

დიდი ევროპიულ-ქართული

### სიმფონიური კონცერტი

შემდეგი პროგრამით:

ბეტჰოვენი — უვერტიურა „ლეონორა № 3". ჩაიკოვსკი უვერტ. „რომეო და იულია".
ბალანჩივაძე — სამხედრო მარში. ახტრაქტი და ლეკური „თამარ ცბიერის" ოპერიდან.
დასაწყისი საღამოს 8 ნახ. საათზე.

ფოცხვერაშვილი სარევოლიუციო მარში. ქურუმთა როკვა და ქარიშხალი „ქეთევანი დამხობის" ოპერიდან.
ევროპიული და ქართული რომანსები (შემსრულებელნი შემდეგ იქნებიან გამოცხადებულნი).
1201

პროგრამის გარეშე შესრულდება ფოცხვერაშვილის ქართული ეროვნული ჰიმნი, ლაშქრული და ლოცვა ქართველი ერისა. აპოთეოზი განთავისუფლებული ამირანი (თავისუფალ საქართველოს ახალი დროშა) სურათს დასდგამს ა. წუწუნავა.
ბილეთები იყიდება.

გულდათუთქული დედა მარიამი, ძმები იოსებ და ივანე გობეჩიები, დები ნინო ჩხეიძისა და მარიამ სალონიკაშვილისა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და მეგობარ ნაცნობთ ვერაგულად მოკლულ ძვირფასი

### ვლადიმერ გობეჩიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 7 საათზე ქაშვეთის ეკლესიაში. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

საქართველოს სოციალ ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტიის მთავარი კომიტეტი და ფრაქცია ამით აუწყებს თანამოაზრეებს, რომ ტრაგიკულად დაიღუპა, ეროვნულ საბჭოს წევრის

### ვლადიმერ გობეჩიას

დაკრძალვა მოხდება კვირას ივნისის 23-ს.

პრეზიდიუმი საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული საბჭოსი აუწყებს მოქალაქეთ ვერაგულად მოკლულ საბჭოს წევრის

### ვლადიმერ პავლეს ძე გობეჩიას

უდროოდ დაკარგვას. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 7 საათზე ქაშვეთის წმინდა გიორგის ეკლესიაში. ცხედრის გამოსვენება ქაშვეთის ეკლესიიდან დიდუბის ეკლესიაში კვირას ივნისის 23-ს დილის 11 საათზე.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ამით აუწყებს რესპუბლიკის მოქალაქეთ, რომ ვერაგულად მოკლულის ამიერ-კავკასიის ყოფილ სამხედრო მინისტრის და საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრის

### ვლადიმერ გობეჩიას

გამოსვენება მოხდება კვირას, ივნისის 23-ს, დილის 11 საათზე ქაშვეთის ეკლესიიდან.

ღრმად დამწუხრებულნი ბიძა სვიმონ ივანეს ძე შატბერაშვილი მეუღლე ანნა ივანეს ასული შატბერაშვილისა, ბიძაშვილი ლიზა ნაცვლიშვილისა და სიძე ილია ნაცვლიშვილი, დეიდა მელანია ნაცვლიშვილისა შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ რომ ოთხშაბათს ივნისის 19-ს ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ მშვიდად გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი

### ანნა (ანეტა) სარდიონის ასული ციციშვილი

დაკრძალვა მოხდება დღეს ივნისის 22-ს. გამოსვენება 10 საათზე ბინიდან (ვერის ქ. № 3. მთაწმინდა) ქაშვეთის ეკლესიაში. 658

დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდად

### საქართველოს რესპუბლიკის რუკა

უახლოესი გამოცემა. რუკა იყიდება ქ. ტფილისის და ქუთაისის წიგნის მაღაზიებში. 650

ღრმად დამწუხრებული დედა სუსანა, მამა სიმონ, და ლიზა, ძმები: ვიკენტი და შოთა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ შაბათს ივნისის 22-ს საბურთალოს წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი ტრაგიკულად გარდაცვალებულის, კიევის უნივერსიტეტის მეოთხე კურსის სტუდენტის დაუვიწყარის

### გრიგოლი (გრიშა) თაბუკაშვილის

სულის მოსახსენებლად წირვა დაიწყება ათ საათზე. 662

გულდამწვარი მშობლები ვლადიმერ და ფუფუ ხარაძეები შვილებით, ბაბუა ბეჟან და მამიდა მარიამ, ბიძები: ნოშრევან, კიწრიდონ და ელიფთერ ხარაძეები ცოლშვილით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ რომ შაბათს, ივნისის 22-ს ს. ხარაგაულში (შორაპნის მაზრა) გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი ძვირფასი

### შალვა ვლადიმერის ძის ხარაძის

სულის მოსახსენებლად. 657.

## ქართული ოპერეტა

### ქართული კლუბი

შაბათს 22 ივნისის-ს 1918 წ.

ბენეფისი **ვერა მარგველაშვილისა,**

ძველი დასის მიერ წარმოდგენილი იქნება ცნობილი აზიური ოპერეტა

### არშინ მალ-ალან

4 მოქ. გადმოკეთებული თარ. ვ. გიგოშვილისა

ასკარა მ. ჯანოევი, ს. სულთან ბეგი, ი. რევაზოვი, სულეიმანი კ. ჩაგუნავა, ველი-მარგველოვი, გულჩარა მ. გიგოშვილისა, ასია მობენეფისე ვერა მარგველაშვილი, ხალა ფეიქროვი, თელი არჯევანიძე.
დასაწყისი სად. 9 საათზე. ბილეთები იყიდება ყოველ დღე კასაში.
დირიჟორი თარის დამკვრელი მაღალიანი. 653 გამგე ვანო გიგოშვილი.

## დიდი ცირკი

### ძმ. ეფიმოვებისა



... დღეს ივნისის 22-ს გაიმართება

### დიდი წარმოდგენა

„ჩვენი მეზობლები". მონაწილეობენ ვული და მიკი, ბონ ბონ და ბიდი, ჟოკეი, ვლადიმიროვი, კომო, შტიკი, მიშელი და სხვ.

ანონსი: კვირას დღისით წარმოდგენა არ იქნება, რადგან ასაფლავებენ ცირკის მოლარეს პეტროვს. საღ. დიდი წარმოდგენა, დასაწყ. 8 ს.
მთავარი ადმინისტრატორი: ვ. ელიზაროვი. 664

### ქართველ მგალობელთა გუნდი

### მ. ა. მოლოდინ-სა

მისამართი: ანჩისხატის ქ. № 20 (ანჩისხატის ტაძრის პირდაპირ); ლოტბარის ნახვა ყოველდღე 3—4 საათ. 651

### იყიდება

მუხის შკაფი (ბუფეტის), ნახმარი, მშრალი, მოხატულ-მოოქრული. აქვე იყიდება ორსართულიანი სახლი. ავლაბარი, მარტყოფის ქ. № 22. 663


ტფილისი. 22 ივნისი 1918 წ.

ანარქია საბედისწერო ანარქია. ხასიათს იღებს. იმიდგან გვქონდა, რომ მას შემდეგ მაინც, რაც რუსეთშიაც კი მინელდა ბოლშევიკური მოძრაობა, რაც საქართველოს წინაშე აღიმართა შავი აჩრდილი ოკუპაციისა და დამონებისა,—ამის შემდეგ მაინც ბოლო მოეღებოდა ანარქიას და საფუძველი ჩაეყრებოდა მტკიცე სახელმწიფოებრიობას. მაგრამ ანარქია არამც თუ ისპობა, იგი უფრო და უფრო ძლიერდება და საბედისწერო ხასიათს იღებს. საქართველოს მტრების იდუმალ მუშაობას, რომელიც მილიონიან ქონების გადაწვით დაგვირგვინდა ტფილისში, ზედ ერთვის შეუგნებლობა ჩვენი ხალხისა, რომელსაც ალლო ვერ აუღია მომენტისთვის და აჯანყებას ახდენს მთავრობის წინააღმდეგ ხან ერთს კუთხეში, ხან მეორეში.

საქმე იქამდის მივიდა, რომ ჩვენს თვალწინ, მცხეთაში, შეიარაღებული ხალხი აჯანყებას ახდენს და იარაღით ხელში ებრძვის მთავრობას. ამაზე მეტი გაღრმავება ანარქიისა წარმოუდგენელია.

ახლა მიაქციეთ ყურადღება, რანაირ საშინელ პირობებში იმყოფება ჩვენი სახელმწიფოებრივ-ადმინისტრატიული აპარატი, რანაირ უმწეო მდგომარეობაშია ჩვენი ფინანსები. არაადამიანური ზომების მიღებაა საჭირო კატასტროფის თავიდან ასაცილებლად, ენერგიული ზომების მიღებაა საჭირო განსაცდელის თავიდან ასაცილებლად და მშვიდობიანი, ნორმალური ცხოვრების შესაქმნელად, მაგრამ ყველა ამას ჩვენ ვერა ვხედავთ. ვხედავთ მხოლოდ ხერხემალ მოდუნებულ მთავრობას, რომელმაც განაცხადა, ძლიერი მთავრობის შექმნაა საჭირო, მაგრამ დღემდის ვერავითარი სიძლიერე ვერ გამოიჩინა.

ყოველს წუთს ჩვენთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს. წუთი წუთს მისდევს, დღეები დღეებს და დროთა ამ სრბოლაში იმარხება ჩვენი საუკეთესო იდეალები, უფსკრულში იჩეხება ჩვენი დამოუკიდებლობა.

ჩანს, საკმარისი არა ყოფილა ის ზომები, რომლებსაც ჩვენი მთავრობა მიმართავს; ჩანს, მეთოდები მართვა-გამგეობისა, რომლებშიაც ასე გამოწვრთნილი არიან წარმომადგენლები ხელმძღვანელი პარტიისა, საკმარისი არა ყოფილან სახელმწიფოებრიობის შესაქმნელად და ისიც ისეთ პირობებში, როდესაც ყველაფერი კატასტროფიული რღვევის პროცესში იმყოფება!..

საკმარისი არ არის კარგი დეკლარაციის შემუშავება. საჭიროა დეკლარაციაში გამოთქმული აზრების განხორციელებაც.

ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია მივუთითოთ მთავრობას და ერთხელ კიდევ მოვაგონოთ, რომ საქართველო ინგრევა, იგი მალე ძველი ნანგრევების ხროვად, ჰოჭების საბუდრად გადაიქცევა, თუ საფუძვლიდანვე არ დაიწყო საძლიერო აშენებლო სახელმწიფოებრივი მუშაობა და ერთხელ და სამუდამოდ არ აღმოიფხვრა ანარქიის გამომწვევი მიზეზები.

ერის სიცოცხლე საუკუნოებით განიზომება. თუ ერის სიცოცხლისთვის საჭიროა დათმობა ზოგი რამ იმისა, რასაც დროული და გარდამავალი ხასიათი აქვს, მთავრობა ვალდებულია ამნაირ დათმობის გზას დაადგეს და ერი გადაარჩინოს აუცილებელი განადგურებისაგან.

ომის მიზეზებით საქართველომ ყოველივე უკან დასახევი გზა მოიჭრა. საქართველო უკვე გარსშემორტყმულია აშკარა და ფარული მტრებით. ჩვენ მეგობარი არსადა გვყავს. ჩვენი საკუთარი თავის ანაბარად ვართ დატოვებული, ერთად ერთი იმედი ისლაა, ... სახელმწიფოებრივი მექანიზმის შექმნას და ერის საცხოვრო ძალთა კოორდინაციით თავს დააღწევს კატასტროფას.

და თუ ეს უკანასკნელი იმედიც დავეკარგა, თუ ანარქიამ საბოლოოდ შთანთქა სახელმწიფო,—მაშინ ჩვენ სამუდამოდ დაღუპულად უნდა ჩავითვალოთ.

იმედია მთავრობა განსაკუთრებულ ზომებს მიიღებს ანარქიის მოსასპობად და ამით თავიდან აიცილებს საქართველოს რღვევასა და სამუდამო დაღუპვას.

## მთავრობაში

ივნისის 20-ს მთავრობის სხდომაზე დადგენილ იქმნა: რუს ოფიცერთა და ჯარის კაცთ საჭიროებისათვის, უმეტესად იმათი კავკავში გადასაყვანად, რუსთა ეროვნულ საბჭოს შუამდგომლობის თანახმად გზათა მინისტრის განკარგულებაში 20 ათასი მანეთი გადაიდეს.

—

ფინანსთა მინისტრის დაევალა შემოიტანოს კანონ-პროექტი ჯარისათვის სპირტის, თუთუნის, წუმწუმის უაქციზოდ გაცემის შეტყვეტის შესახებ.

—

ქართულ გიმნაზის (ყოფილი სათავად აზნაურო გიმნ.) გადაეცა 18,000 მანეთი.

—

სახალხო განათლების მინისტრის მოხსენების თანახმად ქალთა უმაღლეს სასწავლებელს გადაეცა 50 000 მანეთი. ამასთანავე მთავრობას მსჯელობა ჰქონდა საქართველოში უმაღლეს განათლების საქმის მოწყობაზე და გადაწყვეტილ იქმნა დაარსდეს ტფილისში უმაღლესი სასწავლებელი, სადაც ლექციები წაიკითხება ქართულ, რუსულ და სხვა ენაზე, მთავრობას სურს ამ სასწავლებლის მოწყობით მიაღწიოს სკოლების გაერთიანებას. კანონ-პროექტი უმაღლეს სასწავლებლის მოწყობისა განათლების მინისტრის მიერ იქნება შემუშავებული.

—

გზათა მინისტრს დაევალა ტამბოვის გუბერნიის ავადმყოფთა და დაჭრილთ ყოველივე დახმარება გაუწიოს კავკავში გასამგზავრებლად.

—

შრომის სამინისტროში ამ ჟამად არჩევენ მოსამსახურეთა და მუშათა დათხოვნის და მიღების საქმეს. ამ საქმის თაობაზე თათბირში სხვათა შორის მონაწილეობას იღებენ: ეროვნულ საბჭოსთან არსებული მუშათა კომისია, რკინის გზის მთავარი კომიტეტი და სხვა მცოდნე პირნი.

## არეულობა დუშეთის მაზრაში

როგორც გადმოგვცეს, დუშეთის მაზრის ბევრს სოფელში ბოლშევიკური მოძრაობა დაიწყო იარაღის აყრის დროს. ტფილისიდან ჩასულ გვარდიელთა საგრძნობ რაზმს სოფ. მისაქციელთან მოუთხოვია იარაღის ჩაბარება. სოფლელებს ოთხი საათის ვადა უთხოვიათ. ამ ხნის განმავლობაში მოუკრებიათ დიდი ძალა სხვა და სხვა სოფლიდან, მოუვლიათ არაგვის პირას მდებარე ტყიდან და სასტიკი სროლა აუტეხიათ. დაუმარცხებიათ წითელი გვარდიელები, წაურთმევიათ თოფები ტყვიის მფრქვეველები და ამბობენ ზარბაზნებიც. გამარჯვებულები მცხეთაში ჩასულან და იქ დაბანაკებულან. ტფილისიდან სწრაფად რაზმები იგზავნება მომხდარის სალიკვიდაციოდ.

## გერმანელები საქართველოში

**ტფილისი,** ივნისის 21. გერმანიის სამხედრო მისიამ დეპეშა მიიღო გერმანული სამხედრო ნაწილები ვორონცოვკაში ჩამოვიდნენო. სიწყნარე სუფევს. იარაღს ყრიან ყაჩაღ-თათართა ბანდებს, რომელნიც თვითონ მოდიან გერმანელებთან და იარაღს აბარებენ.

—

ამ დღეებში ტფილისში მოელიან გერმანიის გენერალური შტაბის გენერალს, თან 20 ოფიცერი ახლავს. ესენი ყველანი ტფილისში დარჩებიან და ბინად „სევერნი ნომრებში" იქნებიან.

## ომის დეპეშები

### დასავლეთის ფრონტი

**ბერლინი,** ივნისის 20. გერმანიის საომარი ცნობა.

**კრონ-პრინც რუპრეხტის ლაშქარი.** მტერმა სადამოს გააძლიერა მოქმედება [illegible] რედვ საარტილერიო მოქმედებაც, ქვეითა ჯარის ძლიერი რაზმები ჩვენი თხრილებისაკენ გამოემართნენ მრავალ ადგილას, ჩვენ ისინი გავრეკეთ.

**გერმანელ კრონ-პრინცის ლაშქარი.** მტერი კვლავ სცდილობდა წინ წაწეულიყო შატო ტიერის ჩრდილო-დასავლეთით კლინიონის რაიონით, მაგრამ ჩვენ ისინი ცეცხლის საშუალებით გავფანტეთ. ფრონტის სხვა ნაწილში უმნიშვნელო ბრძოლაა.

**ჰალლვიცის ლაშქარი.** ორნის სამხრეთ-დასავლეთით მტრის იერიში მოვიგერიეთ. მაისსა და მოზელს შუა ჩვენი ნაწილები ამერიკელების თხრილებში შეიჭრნენ სენპრეის მახლობლად და დიდი ზიანი მიაყენეს მტერს.

**საჰაერო ბრძოლა.** კაპიტანმა შერტჰოლდმა მე-36-ჯერ გაიმარჯვა საჰაერო ბრძოლაში.

**ვენა,** ივნისის 20. ვენეციის რაიონში ბრძოლა გრძელდება. მტერმა ძლიერი კონტრ-იერიშები მოიტანა ჩვენს ახალ პოზიციებზე ფოზეცის არხთან ოდერსო-ტრევიზოს რკ. გზის მახლობლად. მონტელლოსთან გაცხარებული ბრძოლაა. მონტელლოს რაიონში ხანდახან ისე მწვავდებოდა ბრძოლა, როგორც კარსტთან. ადგილ-ადგილ იტალიელებმა ექვსჯერაც მიიტანეს იერიში, მაგრამ სულ უნაყოფოდ. ფელდმარშალ ბოროევიჩის ლაშქარმა არა თუ შეინარჩუნა ყველა დაკავებული პოზიცია, არამედ კიდევაც გარეკა იტალიელები გენ. ბარონ შენტცერის დივიზიების დახმარებით ტრევიზოს რკ. გზის სამხრეთიდან დასავლეთით.

**საჰაერო ბრძოლა.** ბონოვარდმა მე-33 და მე-34 ჯერ გაიმარჯვა საჰაერო ბრძოლაში, ობერ-ლეიტენანტმა ფონ-ლუნეშ, გრ. კრაფფორდმა მე-25 ჯერ, ობერ-ლეიტ. ციალამ მე 23 ჯერ.

**ბერლინი.** ივნისის 20. საღამოს ცნობა. ალბერის ჩრდილოეთით და ნუაიონის სამხრეთ-დასავლეთი ჩვენ მოვიგერიეთ მტრის იერიშები და დიდი ზიანიც მივაყენეთ მას.

## რადიო-დეპეშები

**მოსკოვი.** ივნისის 19. საგარეო საქმეთა კომისარმა ჩიჩერინმა პროტესტი განუცხადა საფრანგეთის, ინგლისის და ამერიკის წარმომადგენლებს იმის გამო, რომ რუსეთის ნავთსადგურებში ინგლისის, ამერიკის და საფრანგეთის სამხედრო გემები იმყოფება.

**ბერლინი** ივნისის 19. ფლანდრიაში, სკარპსა და სომას შუა საარტილერიო ცეცხლი გაძლიერდა. საომარი მასალის საწყობი მონ-დიკურში ააფეთქეს. სროლა აუტეხეს ამიენის რკ. გზის სადგურებსა და ნივთებს.

**ამსტერდამი.** ივნისის 19, ეშოზინგენში დაეშვა ფრანგების ერთი ჰაეროპლანი.

**ჰელსინგფორსი.** ივნისის 19. მოსკოვიდან ცნობები მოვიდა, რომ რუსეთის გემები, რომელიც ინგლისისა და ამერიკის ნავთსადგურებში იყო, დააკავეს. „ნოვაია ჟიზნი" იტყობინება, რომ აღმოსავლეთ—აზიის წყლებში 8 დიდი გემი წაიღეს; დანარჩენებს ებრძანა ზღვაში არ გამოვიდნენ. ამის გამო საგარეო საქმეთა კომისარმა პროტესტი განაცხადა.

## საინტენდანტოს დაწვა

როგორც გვქონდა აღნიშნული ისე გამართლდა. მილიონად ღირებული საინტენდანტოს საწყობი საჯირითო მოედანზე რკინის გზის დეპოს ცოტა მოშორებით, საქართველოს დაუძინებელმა მტრებმა—ბარბაროსებმა გადასწვეს.

19—20 ივნისის ბოროტ-მოქმედების გამოძიება დაევალა მე 3 მომრიგებელ მოსამართლეს გამომძიებელს ბ-ნ დილევსკის. მე 12 კამისარიატის წინასწარ გამოძიებით ირკვევდა, რომ საინტენდანტოს საწყობები გადაუწვავთ საწყობების დამცველთა და ხელმძღვანელთ. ბოროტებს, როგორც უკვე გამოტეხილან, ბენზინით გაუჟღენთიათ გრძელი პატრუქი და გაუბამთ ირგვლივ ყველა 8 საწყობში; ერთგან მიუკიდებიათ წუმწუმით ცეცხლი. პატრუქს ის მსწრაფლ აუტანია ცეცხლი, რომ სულ ნახევარ საათში გადრმავებულა და შემოდებია მთელს შენობებს. „მცველებთაგან" ზოგნი შეზარხოშებულნი ყოფილან და გავარვარებულ ცეცხლის გარშემო ნერონისებური გულ ცივობით ვაკხანალია გაუმართავთ: ეჰე იწვის საქართველოს ქონება, თუ ჩვენ არ გვექნება ნურც მათ დარჩებათო და ზედ მიუყოლებიათ „ბოსიაკური" [illegible] როდესაც შეიქნა ხმაურობა და გამოირკვა ცეცხლის ადგილი, ადგილობრივ მიატანეს მე 12 კომისარიატის მოხელეებმა, რა ხალხი მილიციონერებმა მინისტრის თანაშემწემ ბ-ნ გვარჯალაძემ და მრავალმა ხალხმა. პირველ ხანებში „მცველებმა" ხალხს შემოუტიეს ახლოს არ მოხვიდეთ თორემ ყველას დაგხვრეტამთო. მაგრამ მალე ალყა შემოარტყეს ცეცხლის ალაგს და მცველებთაგან დააპატიმრეს სულ 45 კაცი. შემდეგ იიშველ ეს გარეშე ხალხი და შეუდგნენ ქონების გადარჩენას, მაგრამ როგორც აღვნიშნეთ ბევრის გადარჩენა ვერ მოასწრეს, რადგანაც ცეცხლი ძლიერ მოხერხებულად იყო შენობას შემოდებული და, მეორედ, მუშაობას ისიც უშლიდა ხელს, რომ ძველი ხის მასალისაგან აგებულ შენობებს მალე შემოედვა ირგვლივ ცეცხლი. დაიწვა სულ 8 საწყობი. აქედან ორ საწყობში სულ შაქარი იყო, ხოლო დანარჩენში ჯარის ტანისამოსი და სხვა მრავალი ქონება. ცეცხლის მქრობელ რაზმის ნაყოფიერ მუშაობას ხელი შეუშალა იმ გარემოებამ, რომ ახლო-მახლო საკმაო წყალი არ აღმოჩნდა. რადგანაც საწყობების გადარჩენა შეუძლებელი შეიქნა მქრობელმა რაზმმა მეტი ყურადღება მიაქცია, ცეცხლი არ გადართოდებულიყო და არ გადასულიყო ახლო საწყობებზე, სადაც დიდძალი სამხედრო სურსათი და ყუმბარებია. ცეცხლი გაგრძელდა 20 ივნისის დილის 6 საათამდე. დაპატიმრებულ 45 კაცს ყველას იარაღი აჰყარეს და ძლიერი რაზმის თან გაყოლებით დამცველ შტაბში გაგზავნეს. გამოკითხვის დროს ბოროტმოქმედებაში, როგორც გადმოგვცეს გამოტეხილან. გაუნთავისუფლებიათ 32 კაცი იმ პირობით, რომ მათ ეხლავე დასტოვონ საქართველოს საზღვრები, ხოლო დანარჩენი 13 კაცი დააპატიმრეს და ციხეში გამოძიებას შეუდგნენ. დაპატიმრებულნი არიან: პოდპოლკ. ივანე უსპენსკი, კაპიტნები: ვლადიმერ ოზოლი, კონსტანტინე გუდკოვი, პრაპორშჩიკები ვლადიმერ კირეი, პავლე ნალნერი, ვლადიმერ პაშინსკი, პეტრე ტერენტიევი, ბორის ტოლგუზინი, ივ. ერმოვი, სტუდ. უსპენსკი და სტუდენტი იოსებ ზოლოტოროვი.

## პარლამენტის გარშემო

**საქართველოს ეროვნულმა საბჭომ** სხვა და სხვა კომისიაში განსახილველად კანონპროექტები შეიტანა: საფინანსო კომისიაში—ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროსთან საქონლის გაცვლა-გამოცვლის საგანგებო კომიტეტის დაარსების შესახებ. აგრარულ და იურიდიულ კომისიებში, სამიწათმოქმედო სამინისტროს მიერ მინერალურ სიმდიდრის კონფისკაციის შესახებ. საფინანსო კომისიაში—ეროვნულ საბჭოს პრეზიდიუმისა, მინისტრებისა და მათი ამხანაგების გასამრჯელოს შესახებ. ეროვნულ საბჭოს მიერ შემუშავებულ იქმნა მოსამსახურეთა შტატი რომელიც საბჭოს მოეხსენება.

**საბჭოს წევრთა ხარჯი.**

**ტფილისი.** ივნისის 20. საქართველოს ეროვნულ საბჭოს ყველა ფრაქციამ გამოსთქვა თავისი აზრი საბჭოს წევრთა ხარჯის შესახებ; ს.-დემოკრატებისა და „ალიონის" ფრაქციებმა დაადგინეს 750 მ., დაენიშნოს თვიურად თვითეულ წევრს; სოც.-ფედ. ფრაქციამ—1.050 მ., სოც.-რევ.—900 მან. და ნაც.-დემოკრ.—1050 მან. ეს დადგენილება ეროვნულ საბჭოში იქმნება შეტანილი განსახილველად.

—

ეროვნულმა საბჭომ გუშინდელ სხდომაზე დაადგინა საბჭოს სხდომები ჯერ-ჯერობით კვირაში ორჯერ გაიმართოს: სამშაბათობით და პარასკეობით, დილის 11 საათიდან.

**ამხ. გობეჩიას დაკრძალვის ცერემონიალი შემუშავებული შეერთებული კომისიის ყველა პარტიის წარმომადგენლების მიერ.**

კვირას, ივნისის 23-ს ქვაშვეთის ეკლესიაში დანიშნულია წირვა და პანაშვიდი დილის ცხრა საათზე.

მიცვალებულის გამოსვენება მოხდება ეკლესიდან 11 საათზე, ლორის-მელიქის ქუჩით სასახლისაკენ, გოლოვინის პროსპექტით, ვერის დაღმართით, მიხეილის პროსპექტით და წაასვენებენ დიდუბის ღვთისმშობლის ეკლესიაში და დაკრძალევენ ქართველ მოღვაწეთა პანთეონში.

მსვლელობა ასე იქნება განაწილებული: პირველ რიგში გვირგვინები, შემდეგ რევოლიუციონური ორგანიზაციათა დროშები, წითელი გვარდია, მგალობელთა გუნდი, მიცვალებული საპატიო დარაჯთა თანხლებით, ჭირისუფალნი, საქართველოს ეროვნულ საბჭოს პრეზიდიუმი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა და პოლიტიკური ფრაქციები; შემდეგ პატივისმცემელნი და ნაცნობ-მეგობარნი, სამხედრო მუსიკა და ჯარი.

კომისიის თავმჯდომარე
**იოს. აბაკელია.**
მდივანი გ. მუმლაძე.

## ახალი ამბავი

✦ **ბორჩალოს მაზრაში** მთავრობისგან დელეგაცია გაიგზავნა რომლის შემადგენლობაში შედიან: ვლ. მგელაძე და გ. ცინცაბაძე.

✦ **ლტოლვილები.** სომხეთა ლტოლვილების ორგანიზაციის მთავარ საბჭომ გაარჩია საკითხი ჩრდილოეთ კავკასიაში ლტოლვილების გასტუმრებისა. გადაწყვეტილია ნება არვის დაერთოს ჩრდილოეთ კავკასიაში წავიდეს, რადგანაც იქიდან იუწყებიან შეჩერებულ იქმნას ლტოლვილთა მსვლელობა. ამავე საბჭომ დაადგინა მოაწყოს ლტოლვილთათვის შრომის ბიურო. აგრეთვე დადგენილია სანაინში გაიგზავნოს სანიტარული რაზმი, ფქვილი შაქარი და სხვა, 17000 მან. მირზოევს გაუგზავნოს, ლტოლვილთა საჭიროებისათვის.

✦ **კვირას,** ივნისის 23-ს სახალხო უნივერსიტეტის მსმენელთა კლუბის წევრებისაგან ექსკურსია გაემგზავრება ზედაზენის მონასტერში.

✦ **სტუდენტებს** (ქალებს და ვაჟებს) რომელთაც სურთ ბაქოში წასვლა შეუძლიანთ ჩასაწერად მოვიდნენ შემდეგი მისამართით: გოლოვინის პროსპექტი № 10.

✦ **ფარმაცევტთა ცხოვრებიდან.** ტფილისის ქალთა უმაღლეს კურსებთან დაარსდა გამომცდელი კომისია პროფესორებისა აფთიაქის მოწაფეების მიერ აფთიაქის თანაშემწის წოდების მისაღებად. კომისიამ პირველი გამოცდები მოახდინა ივნისის 6-ს. გამოცდებზე დაუშვეს ოცდა სამი აფთიაქის მოწაფე, ამათგან ოცდა ერთმა მიიღო აფთიაქის თანაშემწის წოდება. მეორედ, გამოცდები მოხდება სექტემბრის 15 20-ს. მოსამსახურე ფარმაცევტთა პროფესიონალურ კავშირთან დაარსდა კურსები მოწაფეების მოსამზადებლად თანაშემწის გამოცდებისთვის. კურსებზე მეცადინეობა იწყება ივლისის პირველს დილის 9 საათზე. ყოველივე ცნობის მიღება შეიძლება პროფესიონალურ კავშირში.

✦ **კოოპერატივების საყურადღებოდ.** 25 ამა ივნისისთვის საღამოს 6 საათზე ამიერკავკასიის კოოპერატივთა კავშირის სადგომში (მიხეილის პრ. 178) დანიშნულია შეერთებული სხდომა ხსენებულ კავშირის ზედამხედველ საბჭოსი, მისი სარევიზიო კომისიისა და სარაიონო კავშირთა წარმომადგენლებისა ფრიად საყურადღებო და საჩქარო კითხვების განსახილველად, კავშირის საბჭო სთხოვს ხსენებულ საბჭოსა და კომის. წევრებს და სარაიონო კავშირების წარმომადგენელთ აუცილებლად დაესწრონ ამ სხდომას.

✦ **შემოწირულება.** ინჟინერი გორგაძისაგან საერობო კავშირის მოსამსახურეთა შორის შეგროვილი რედაქციამ მიიღო პარტიის სასარგებლოდ ას ექვსი მან, და კიდევ სტუდენტ ნიკ. ხუციშვილის ხსოვნის აღსანიშნავად 87 მან.

✦ **მიხეილ კავსაძის** მომღერალ-მგალობელთა სახალხო გუნდი (დაარსებული 1910 წლიდან) მართავს ამ მოკლე ხანში სახალხო კონცერტებს. კონცერტი შესდგება 3 განყოფილებისაგან და შესრულდება სამ ხმოვანი სახალხო სიმღერები, გადაღებული ძველი მუსიკოსების ი. რატილის, ვ. ქორიძის, ა. კავსაძის, ა. ბენაშვილის და სხვათა მიერ. გუნდი შესდგება 30 კაცისაგან, რომელიც იქნება გამოწყობილი ეროვნულ ტანისამოსში პირველი კონცერტი შესდგება ხუთშაბათს ივნისის 27-ს დემოკრატიულ კლუბში (მუშტაიდში) მეორე 29-ში ქართულ კლუბში,

✦ **ახალი საწარმოო ამხანაგ.** დღეს. 5 საათზე ფრეილინის ქ. ყოფ. სათ აზ. ბანკის შენობაში დანიშნულია საქართველოს საწარმოო კოოპერაციის დამარსებელთა საინიციატივო კრება. წესრიგი: მოხსენება წესდების განხილვა და დროებითი გამგეობის არჩევა. დაინტერესებულ პირთ ვთხოვთ დაესწრონ.

✦ **კვირას,** ივნისის 23 ს ქართულ კლუბის დარბაზში გაიმართება პირველი საჯარო კრება კულტურის და შრომის კავშირისა. კრების წესრიგი: 1. გამგეობის მოხსენება ყოფილ ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოების მოქმედების და მის „კულტურის და შრომის კავშირად" გარდაქმნის შესახებ; 2, ალ. ასათიანის მოხსენება: „შრომა და მისი მნიშვნელობა ეროვნულ შემოქმედებისათვის"; 3, გ. ჟორდანიას მოხსენება: „ჩვენი აწმყო და მომავალი პრაქტიკული საქმიანობა" 4, წაკითხულ მოხსენებათა გამო სჯა-ბაასი, კრებაზე დასწრების და სჯა-ბაასში მონაწილეობის უფლება ყველასა აქვს. დასაწყისი ნაშუადღევის 1 საათზე.

✦ **აზერბეიჯანის ეროვნული საბჭო.** ტფილისში ცნობები მოვიდა აზერბეიჯანის ერ. საბჭომ ხელი მოაწერა აქტს თავის დაშლის შესახებო. „ჰუმეტისა" და მუსულმანთა სოციალისტური ბლოკის ფრაქციები ამ დადგენილების გამოტანამდე გამოვიდნენ ეროვნულ საბჭოს შემადგენლობიდან. შესდგა ახალი მთავრობა ხან-ხოისკის მეთაურობით; მთავრობაში შევიდნენ აგრეთვე ბაქოს მუსულ. მსხვილი ბურჟუაზიის და მსხვილ მიწის-მფლობელთა წარმომადგენელნი.

✦ **გერმანელ-სომხეთა კულტ. საზოგადოება** დაარსდა. საზოგადოებაში შედიან განსაკუთრებით ის პირები, რომელთა გერმანიაში მიიღეს განათლება. საზოგადოების მიზნით ამ ორი ერის დაახლოვება ენის დაახლოვება ენის, ლიტერატურის და სხვა შესწავლის ნიადაგზე. საზოგადოების საბჭოში შევიდნენ ცნობილი ლიტერატორები ფონ-ლეისტი, ფუფაევი, ფრიკი, ჯემტიანი, ევანგულოვი და სხვები.

✦ **შემოწირულებათა შესახებ.** საგუბერნიო ხაზინადარმა ბ-ნ ვლად. კორინთელმა შუამდგომლობა აღძრა ფინანსთა მინისტრის წინაშე, რომ ყველა შემოწირულება ოქროს ნივთებითა, ვერცხლეულობითა და სხ. საქართველოს ხაზინის გასაძლიერებლად უნდა იკრიბებოდეს საგუბერნიო ხაზინასთან განსაკუთრებულ საწყობში და შემომწირველთ ჯეროვანი კვიტანციები მიეცეს.

✦ კავკასიის ყოფილ ნამესტნიკის კანცელარიის საგანგებო საქმეთა მოხელე მიხეილ დავითის ძე ჭავჭავაძე ქუჩაზე შეიშალა. ავადმყოფს მუდამ ელანდება ვითომც მას მოკვლას უპირებდეს ვინმე. ჭავჭავაძე ამ ჟამად მოთავსებულია მიხეილის საავადმყოფოს სულის ავადმყოფთა განყოფილებაში. ავადმყოფის ჭირისუფალთა შუამდგომლობით ქართულმა კლუბმა 2000 მან. დახმარება აღმოუჩინა უპატრონოდ დარჩენილ მის ოჯახობას.

✦ **ახალქალაქის ლტოლვილების შესახებ** სომეხთა ეროვნულ საბჭომ ვეჰიბ-ფაშას დეპეშა გაუგზავნა რომელშიაც ოტომანურ მთავრობას სთხოვს საჩქაროდ გადაწყვიტოს საკითხი ახალქალაქის ლტოლვილების თავიანთ ბინებზე დაბრუნების შესახებ.

✦ **ლტოლვილთა სასარგებლოდ** კვირას 23 ივნისს სახელმწიფო თეატრში გაიმართება ევროპიულ—ქართული სიმფონიური კონცერტი. მოწვეულია საუკეთესო სამუსიკო ძალები.

## სოფლად და ქალაქად

### თელავი

✦ მსახიობ მ. ბეჟანიშვილმა, პ. კორიშელმა, ბ. ბეგლარიძემ და ილ. ვახვახიშვილმა შეადგინეს დასი, რომელიც მსახ. დ. აწყურელის და კ. ჰელიძის მონაწილეობით სისტემატიურად გამართავენ წარმოდგენებს საზაფხულო თეატრში. რომელიც კ. ონიკაშვილმა და გ. კიკვიძემ გამართეს. სცენას თვით მსახიობნი აწყობენ და დანიშნეს კიდეც პირველი წარმოდგენა. ითამაშებენ ი. გედევანიშვილის პიესას „მსხვერპლს",

✦ პურის კრიზისმა კვლავ თავი იჩინა ხშირად სრულებით არ იშოვება გამომცხვარი პური, რომელიც 1 მან. 30 კ. იყიდება. რასაკვირველია თუ კეთილ ინებეს და გამოაცხეს.

**ს. იყალთო.**

✦ ამ სოფელში არსებული კოოპერატივის მაღაზიის საქმეები ძრიელ კარგად მიდიოდა ვიდრე დაინტერესებული ვაჭრები ჩაერეოდნენ. ზოგიერთებმა ისარგებლეს ამ კოოპერატივის ერთი ინიციატორ პ. ნიკოლიშვილის ტფილისში ყოფნით, მოახდინეს კრება და გამგეობაში ისეთი ვაჭრები აირჩიეს, რომელნიც თვით არიან დაინტერესებულნი ვაჭრობის საქმით სოფელში, რასაკვირველია ამ კოოპერატივს გარეშე.

### ფოთი.

✦ ქალაქის პორტის უფროსად დაენიშნა ინჟინერი ჯავახიშვილი. გადმოცემით ეს ინჟინერი ფრიად განვითარებულია და კიდევაც შეასრულებს თავის მოვალეობას ღირსეულადო, რასაც დიდის სიამოვნებით შეხვდა უმეტესი ნაწილი საზოგადოებისა.

✦ 11 ივნისს ღამის 10 საათზე ქალაქის ბაღში სულ ერთიანად გადაიბუგა ქალაქის გამგეობის „პავილიონი". მოულოდნელმა ცეცხლის ალმა და ტყვიების ზუზუნმა დიდი აურზაური გამოიწვია მცხოვრებთა შორის, რადგანაც იქ ახლო ქალაქის „კოზაკი"-ს ქვეშ იმყოფება არსენალი და ყველას იქ ეგონათ ასეთი უბედურება. როგორც სჩანს ამ შენობაში ბლომად ყოფილა ტყვია წამალი და დაუმთავრებელი სროლისა გამო ხალხი ახლო ვერ მიეკარა. ცეცხლმა იმსხვერპლა გამგეობის მეთვალყურე ვლას ზაგოდოვსკი და ერთი ახალგაზრდა ქალი. სხვები კი დაშავდნენ. ამ შენობაში გამგეობას ჰქონდა დამზადებული 60.000 მან. ღირებული დაფნის გამხმარი ფოთოლი.

✦ ბ. ჯავახიშვილს გადაუწყვეტია გამართოს ფოსტის გადატან გადმოტანა ფოთიდან სოხუმამდე და სხვა ამ ქალაქების შუა ზღვის სანაპირო პატარა ქალაქებში. ამის შესახებ ოფიციალური ქაღალდით მიმართა ქალაქის გამგეობას და როგორც სჩანს ამ ფრიად საჭირო საქმის განხორციელება მას სურს ახლო მომავალში. ფოსტის გადატანის დროს შეეძლია იმგზავროს 16 კაცმა მეორე კლასით და 6 კაცმა მესამე კლასით.

### ზუგდიდი.

✦ ყოფილ სამეგრელოს მთავრის ეზო ცუდ სანახაობას წარმოადგენს. მრავალნაირი ნერგი დღეს გაველანებულია. ერთ ქცევამდე დაფნა უთავბოლოდ გადახნული, თითქოს მას პატრონი არ ყავდეს. ნუ თუ ვერ შესძლო მთავრობამ ჯეროვანი ყურადღების მიქცევა. ეზო ყველას დაურიგეს დასამუშავებლად, ხოლო ყოფილი მთავრის ყოფილ მოსამსახურეს, რომელიც ბავშვობიდან ამ მიწებს ამუშავებდა და აქ არის გაზრდილი სულ არაფერი მისცენ დასამუშავებლად, საჭიროა ამას ყურადღება მიაქციონ.

✦ ამინდები მეტად წვიმიანი და როგორც გლეხები გადმოგვცემენ დიდად დაზარალდა ყანები.

✦ [illegible] ქალაქის [illegible] საჭიროა [illegible] სალა და შტატიც მზად ყოლიათ. ადგილობრივი ექიმების ინიციატივით ფიქრობენ მოაწყონ საავადმყოფო.

✦ ადგილობრივი დრამატიული საზოგადოების კრება მესამედ მოიწვიეს მაგრამ კრება მაინც არ შესდგა. საერთოდ საზოგადოება გულცივად ეკიდება საქმეებს, მაშინ როდესაც მეტი საქმიანობაა საჭირო.

✦ კოოპერატივი „ვარსკვლავი" არიგებს შაქარს და როგორც გავიგეთ ექვს თვეში მეტი აღარ მოვა. მიღებულია ერთი ვაგონი ფხვნილი შაქარი.

### გორი.

ივნისის 10—11 სარევოლიუციო ტრიბუნალში გაირჩა გ. ვეზირიშვილის სახლზე თავდასხმის საქმე სოფ. [illegible]აურში. მკითხველებს ეხსომებათ, რომ ხსენებულ სოფელში ჯერ მოჰკლეს თვით გ. ვეზირიშვილი, ხოლო შემდეგ ბრბო თავს დაესხა მის სახლ-კარს, მოჰკლეს იქ მყოფი ელის. ფალავანდიშვილისა და მისი მცირეწლოვანი ქალი და ვაჟი, რეალურ სასწავლებლის მოწაფე, გაძარცვეს და წაიღეს ყველაფერი, რის წაღებაც კი შეიძლებოდა. მკვლელებს მალე მიაგნეს, იპოვნეს გატაცებული ნივთებიც და დამნაშავენი დააპატიმრეს. აი ამათი საქმე გაირჩა ხსენებულ დღეს გორის ტრიბუნალში. საზარელი სურათი გარდაიშალა საზოგადოების თვალწინ, სურათი სიმხეცის და ბარბაროსობისა, მთავარ დამნაშავეთ ს. ტურიაშვილს და ი. ბერიძეს ტრიბუნალმა უვადო კატორღა გარდაუწყვიტა. სასჯელი მიუსაჯა სხვა დამნაშავეთაც.

✦ ივნისის 15 შუაღამისას ხშირი სროლა ასტყდა ქალაქში. ხალხს თავზარი დაეცა შიშით. როგორც ამბობენ, იარაღის საწყობის ეზოში ზარბაზნისთვის ვიღაცაც გასაღები მოეხსნა ხმამად და გაქცეულიყო. ეს შეენიშნათ დარაჯებს და სროლა აეტეხათ. დამნაშავე ვერ შეიპყრეს.

✦ ახალციხე ჯავახეთიდან გორისაკენ მოაწყდნენ გამოქცეულნი. ურიგოს არ იზამს ქალაქის გამგეობა თუ ყურადღებას ახლავე მიაქცევს გამოქცეულთ, თორემ ადვილი შესაძლებელია ქალაქში რაიმე გადამდები სენი შემოიტანონ.

✦ ქალაქში ვიღაც პროვოკატორები გაჩნდნენ, რომელნიც ოსებს ეუბნებიან—საჩქაროდ გადით აქედან, თორემ გორს მალე ოსები დაეცემიან და მერე გარჩევა აღარ იქნება ვინ-ვინარისო. თავდაცვის შტაბმა შესაფერი ზომები მიიღო ამ პროვოკატორების წინააღმდეგ. იმედია თვით ხალხი უდგება დარაჯად მშვიდობიანობას, და თუ პროვოკატორები თავისას არ იშლიან მათ ვინაობას თავდაცვის შტაბს შეატყობინებენ. რათა ისინი სასტიკად დასჯილ იქმნენ.

✦ სოც.-ფედ. მებრძოლი რაზმი უკვე დაბრუნდა უკან. ამ რაზმმა მონაწილეობა მიიღო ბორჩალოს მაზრაში თათართა ურდოსთან ბრძოლაში. სხვათა შორის დიდი მონაწილეობა მიიღო შულავერის აღებაში.

✦ გორის კოოპერატივს წარსულ საანგარიშო წელს წმიდა მოგება დარჩენია 14,241 მ. 7 კ.

✦ თავდაცვის შტაბმა სოფლის ორგანიზაციებს მისწერა—ჩამოართვით ყველას იარაღი და შტაბს წარმოუდგინეთო.

✦ ქართველ მოხელეთათვის ქართული ენის კურსები გაიხსნა, ჩაწერა შეიძლება ქართველ ვაჭართა კავშირის კანტორაში.

✦ პურის კრიზისი უფრო და უფრო საგრძნობი ხდება. გრძელი „კუდები" სდგას გარიჟრაჟიდანვე ფურნეებთან, ზოგს საბან-ბალიშიც აქვს თანა. პურს ვერ იშოვნით, თუ გარიჟრაჟიდანვე „კუდში" არ მოექცით.

✦ როგორც სოფლებიდან გვატყობინებენ, მოსავალს კარგი პირი უჩანს, სამაგიეროდ ზოგი სოფლიდან უწყებში ცნობა მოგვდის მართალია წელს იმაზე მეტია დათესილი, რაც შარშან დაითესა, მაგრამ მოსავალი დაიგვალა ზოგან ბალახი ძლიერ მოერია და წანდაო ხეხილს კარგად ასხია, თუ ტაროსმა არ უღალატა.

## საქ. სოც.-ფედ. სარევ. პარტიაში

დღეს საღამოს 7 საათზე ფრაქციის ბინაზე (სასახლეში) გაიმართება მთავარ კომიტეტის სხდომა.

**დღეს, ივნისის 22 საღამოს 6 საათზე დანიშნულია რაზმელთა კრება. ამხანაგებს ვსთხოვთ ყოველ მიზეზს გარეშე დანიშნულ დროზე გამოცხადდენ. სამხედრო საბჭო.**

## არმავირში დახოცვლების შესახებ

ყველას ახსოვს არმავირელ ბარბაროს—ბოლშევიკების ის მხეცური ავაზაკობა, რაც გამოიხატა სამშობლოსაკენ მომავალ 38 ჩვენის თანამემამულეთა განუკითხველად და მხეცურად დახვრეტა-დახოცვაში. ამ დღეებში ტფილისში ჩამოვიდა სამხედრო ექიმი ბ-ნი ნ—ვი, რომელიც ოთხი თვე ცხოვრობდა არმავირში და გადმოგვცა ზოგიერთი ცნობები საქართველოს ისტორიისათვის ამ დაუვიწყარ ამ ბარბაროსულ მოქმედების შესახებ. არმავირში ბოლშევიკების გამარჯვების შემდეგ მოხალისეთაგან შემდგარა ეგრედ წოდებულ არმავირის როტა, რომელსაც სათავეში ჩასდგომია გამოქცეული კატორღელი ვინმე მოლოკანოვი. 38 მგზავრს იმის მოლოდინში, რომ გზაში მათ მოსვენებას არ მისცემდნენ, თავისუფლად გავლის ნებართვა ჰქონია ტროცკისაგან. მგზავრებს როსტოვ-არმავირის გზა მშვიდობიანად გამოუვლიათ. სადგურ ნევინომის კაისთან მგზავრებს გამოუცხადებიათ, რომ ბაქოვა და კავკავიც ბოლშევიკთა სათარეშოდ იყო გადაქცეული გამოვლა შეუძლებლად დაუსახავთ და ისევ უკან დაბრუნებულა ტუაპსეზე წამოსულან. არმავირში დაბრუნებისას კატორღელს მოლოკანოვს შეუტყვია მათი ვინაობა და გადაუწყვეტია მათი გაჩხრეკა. გაჩხრეკის დროს, მგზავრებს სამგზავრო ვაგონების სკამებს ქვეშიდან ამოკრული იარაღები და ტყვიის-მფრქვეველი აღმოჩენიათ, მოლოკანოვი და მისი თანამოაზრენი ამ გარემოებას ძლიერ გაუშფარებია, მოულაპარაკნიათ და გადაუწყვეტიათ: ესენი საქართველოს კონტრ-რევოლუციონერები არი ნ, ჩვენს წინაამდეგ იარაღი მიაქვთ ჩვენს წინაამდეგ სამოქმედოთ და აუცილებლად უნდა დავხოცოთო. ბოლშევიკ-ბარბაროსებს კიდევ უფრო დაწვრილებით გაუჩხრეკიათ და თუ რაიმე მათ გააჩნდათ, ყველა-ფერი ჩამოურთმევიათ, წაურთმევიათ 100,000 მან. ნივთები, საათები, ტანისამოსი და წაუყვანიათ ციხეში. დაუნიშნავთ სასამართლო. მოლაკანოვის როტას 38 კაცისათვის სიკვდილი გადაუწყვეტია, სასამართლოს თავისი განაჩენი მიუტანიათ და მოუთხოვნიათ ხელის მოწერა, თორემ წინაამდეგ შემთხვევაში თქვენ დაგხოცავთო. მოსამართლეთ ხელი მოუწერიათ. ვიდრე ბოროტები თავიანთ განაჩენის სისრულეში მოყვანას შეუდგებოდნენ დაპყვევებულებს 1,500 მან. გაუღიათ და ტროცკისთვის დეპეშა გაუგზავნიათ, რომ საქმეში ჩარევით დაეხსნა იგინი. გამხეცებულთ დეპეშის პასუხისათვის არ მოუცდიათ და საღამოს 4—5 საათზე საბრალონი საკლავ ზვარაკებივით ქალაქის გარედ გაუყვანიათ და მხეცურის გამეტებით ჩაუკლავთ ყველანი, იქვე გაუთხრიათ სამარე და ჩაუყრიათ შიშველ-ტიტველნი, მათის დახოცვის შემდეგ მალე დეპეშა მოსულა ტროცკისაგან, რომელიც არმავირელებს ატყობინებდა: დაუბრკოლებლად გაატარეთ ეგ მგზავრები კავკასიისაკენო, მაგრამ უკვე გვიან იყო. ამიერ-კავკასიის მთავრობის პროტესტის შემდეგ ამ საქმის გამოძიებას რომ შესდგომიან აღმოჩენილა, რომ მეთაური ამ ავაზაკური საქციელისა მოლაკანოვი სადღაც გადამალულიყო, ბოლოს შეუტყვიათ რომ მოლოკანოვი პიატიგორსკში განცხრომას ეძლეოდა განაცარცვ ფულებით. ვითომ სამსახურის საქმეებისა გამო მოლაკანოვი გამოუწვევიათ არმავირში და დაუპატიმრებიათ ციხეში. მოლაკანოვის როტა წინაამდეგი გახდომია ადგილობრივ მთავრობას: თქვენ ჩვენს ბელადს განუსამართლებლად მოკლავთ და ციხეში დარაჯობა თვით უკისრნიათ. მოლაკანოვი ეხლა დაპატიმრებულია. ეს ავაზაკი ბოლშევიკი ბევრს ამისთანა ავაზაკურს საქმეებს აკეთებდა თურმე. მთელი მისი ნამოქმედარის გამოსაძიებლად საქმე უკვე შესდგომიან, მაგრამ დასდევენ კი მისი ამხანაგები მას შესაფერს მსჯავრს?

## ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა ყრილობა

ამ ერთი კვირის წინათ ვაჟთა პირველ გიმნაზიაში გაიხსნა ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა ყრილობა. ამის მიზანი იყო საქართველოს რესპუბლიკაში მყოფ მოხელეთა საპროფესიო კავშირის დაარსება, ნაცვლად აწ განსვენებულ ჯერ სრულიად რუსეთისა და შემდეგ ამიერკავკასიის საპროფესიო კავშირისა. ყრილობას დასაწყისიდანვე დაეტყო ორ ბანაკად გაყოფა. ერთის მხრივ დადგნენ რუსები და სომხობა ბლოკით შეკრულები, და მეორეს მხრივ ქართველობა. ბლოკის მეთაურად გამოვიდა ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კომისრის თანაშემწე აჰარონიანცი. მიუხედავა იმისა, რომ არჩევნები უნდა პროპორციონალური ყოფილიყო როგორც პროვინციაში ისე ტფილისშიაც, ტფილისის ბლოკმა ამას ყურადღება არ მიაქცია და მიუხედავად ქართველ მოხელეთა მრავალ რიცხვიანობისა (300 კაცი) ყველა თვისი წრიდან აირჩია, სულ 11 კაცი, ყრილობაზე გასაგზავნად ბლოკმა ქართველების განცხადებას და სამართლიანობას არავითარი ყურადღება არ მიაქცია, ამის შემდეგ ქართველმა მოხელეებმა თვისი წრიდან აირჩიეს 5 წარმომადგენელი, რაიც პროპორციის თვალსაზრისით მიეკუთვნებოდა, არც ერთი მხარე დათმობის გზაზე არა დგებოდა და ასეთის განწყობილებით ტფილისელი მოხელეები წარსდგნენ ყრილობის წინაშე. ანორმალ მოვლენას რომ ადგილი არა ჰქონოდა, ყრილობაზე საქმე გაარჩიეს და გამტყუნებული ბლოკი გამოვიდა. მათ დემონსტრატიულად ორ დღის განმავლობაში დასტოვეს დარბაზი ყრილობისა. მესამე დღეს უკმაყოფილონი გამოცხადნენ და მოითხოვეს მუშათა საბჭოს წარმომადგენელის თანადასწრებით საქმის ხელმეორეთ გარჩევა. ქართველ მოხელეებს, რომ ერთხელ კიდევ დაემტკიცებინათ ბლოკის უნიადაგო ხმაურობა და უსამართლობა, ესეც არ უთქვამთ, მაგრამ დახეთ, აქაც ბლოკი შერცხვენილი გამოვიდა. ყველა ამ აურ-ზაურს, როგორც ზევითაც ვთქვი, ხელმძღვანელობს აჰარონიანცი. ამისი და მისი ხელქვეითების პოლიტიკა ნამდვილი ანტიქართულია. ყოველს ნაბიჯის გადადგმაზე ცდილობენ სიტყვიერად მაინც, თუ საქმით ვერ გაიმარჯვეს, ქართველების წინაამდეგ გაილაშქრონ. ყრილობაზე 20 ივნისს აჰარონიანცმა აშკარად განაცხადა, რომ მას არა სწამს როგორც ადერბეიჯან-სომხეთის დამოუკიდებელი არსებობა, ისე საქართველოს რესპუბლიკისა, და როგორც ასეთისა მას არა რა სჯერა. ასეთია დაახლოვებით ი. აჰარონიანცის სიტყვები.

ოცი ივნისის ყრილობა უკვე დამშვიდებული და დალაგებული მუშაობა იყო.

**ტუღუში.** ამიერკავკასიის ცენტრალური კომიტეტი არა მარტო საპროფესიო კავშირი იყო, არამედ და უფრო უმეტესად იყო ადმინისტრატიული ძალა-უფლების მატარებელი. იგი ნაკლებ ზრუნავდა გონებრივ საზრდოს მიწოდებაზე თვისი წევრებისთვის, ვერ შეძლეთ რეფერატებისა და ლექციების მოწყობა, საღამო-გასართობების გამართვა და გონებრივად სხვა კავშირებთან შედარებით მეტად ჩამორჩენილები ვართ. ამ მხრივ ბათომის მოხელეებმა უფრო მეტი გვაკეთეთ, ვიდრე თქვენ ტფილისელებმა. ჩვენ სხვა და სხვა პარტიის წარმომადგენლებს ვიწვევდით და ლექციებს ვმართავდით. არაა ჩვენს მოხელეებში სიცოცხლე, უნდა შევნებულ და ნამდვილ ინტელიგენტებათ გარდავიქცეთ პროფესიონალური კავშირი ჩვენი უნდა ნამდვილი პროფესიონალური იყოს და მის კომპეტენციაში არ უნდა შედიოდეს საადმინისტრაციო ფუნქციები.

**თავმჯდ. გაჩეჩილაძე.** ჩვენი პროფესიონალური კავშირი ასრულებდა ადმინისტრატიულს და პოლიტიკურს ფუნქციებს. ამიტომ არის მრავალმთავრობიანობა. ამის მიზეზით ბევრჯელ დეპეშების გადმოცემს ძალიან ფერხდებოდა, მაგალითად, ერთმა დეპეშამ აქ ტფილისში 27 საათს იმოგზაურა, ვიდრე მეორე ბინში იქნებოდა გადაცემული. და როდესაც მოსამსახურეებს დაგვიანების მიზეზი ჰკითხეს ეს მათ აწყინეს. ამიტომ საჭიროდ მიაჩნია სასტიკად იყოს გარჩეული ადმინისტრატიული მოვალეობანი ფ. ტელ. კომიტეტი მოვალეობისაგან. პროფეს. კავშირმა უნდა ხელი უშვას ადმინისტრატიულ საქმეებს. პროფ. კავშირმა უნდა დაჩაგრულ მოხელეთა ბედს მიხედოს და უნდა გაფართოვდეს მისი მოღვაწეობა პროფესიონალ. შემოქმედებაში.

**წინაძე.** საჭიროა მოისპოს მოხელეთა ხარისხებად დაყოფა და ჯამაგირების მომატება პერიოდულად სწარმოებდეს.

**შევჩენკო.** ახალი კავშირის წესდების შედგენისას უნდა შევინარჩუნოთ ძველის მე 7, 8, 9, 10 მუხლები. საჭიროდ სთვლის კავშირის ფუნქციების გაფართოებას და დიდი და მცირე სექციების შექმნას.

**მომხსენ. ბერძნიშვილი.** წინად ჩვენს პროფესიონ. კავშირს მხოლოდ ადმინისტრაც. ფუნქციები ეკისრა და პოლიტიკურს კი არ შეხებია. პროფეს. კავშირი ალრმავებს კლასობრივს შეგნებას. პროფესიონ. კავშირის მეთაურნი კოლეგიური უფროსები იყვნენ და მათზე ჩივილი არსად არ შეგვეძლოთ, მათი მოქმედება უკონტროლო იყო. მიუესალმები წმიდა პროფეს. კავშირს. უნდა გადავაყენოთ ეხლანდელი მართველები. ამას მოითხოვს შტატების შემცირების ინტერესიც.

თოხაძეც მომხრეა, რომ ადმინისტრატიული მოვალეობა კავშირს ჩამოსცილდეს.

**მომხსენებ. ბერძნიშვილი** ორატორების ნალაპარაკევიდან ვხედავ, რომ ჩვენ ვერაფერი ვერ გვისწავლია და არაფერი მიგვიღია. ჩვენ მხოლოდ სამსახურში დაწინაურება გვაინტერესებს. წინააღმდეგი ვარ კოლეგიური მმართველობისა, რადგან იგი საქმეს აფერხებს. რკინის გზებზე გამეფებულ კომიტეტების, მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების მაგალითებით ვუმტკიცებს ამხანაგებს კოლეგიური მმართველობით საქმის შეფერხებას.

**შალიკიანი.** საჭიროა სამსახურში დაწინაურება პროფ. კავშირის მიხედვით სწარმოებდეს.

ბერძნიშვილი წინადადებას იძლევა კავშირის წესდების მუხლობრივ განხილვისას.

ამ დღეს მოასწრეს მხოლოდ რამდენიმე მუხლის წაკითხვა დანარჩენებისა ხვალისთვის გადაიდო.

## ტფილისის კონსერვატორია.

ტფილისის კონსერვატორიის სახელოვნო საბჭომ ამა ივნისის 15 დღის სხდომაზე, რომელსაც დაესწრო მთელი შედგენილობა 29 წევრთაგან, სახელდებულის კენჭის ყრით ოცდა ერთი ხმის უმეტესობით ექვსის წინააღმდეგ და ორი წევრის მიერ ხმის მიუცემლობით დაადგინა შემდეგი გამოაქვეყნოს ბეჭდვითა:

ტფილისის კონსერვატორიის სახელოვნო საბჭომ ამა წლის აპრილის 7 დღის სხდომაზე უარჰყო კანდიდატურა ნ. დ. ნიკოლაევისა ტფ. კონსერვატორიის დირექტორის თანამდებობისათვის. საბჭოს ვოტუმი იყო შედეგი საბჭოს წევრთა უმეტესობის უთანხმოებისა ნ. დ. ნიკოლაევთან წმიდა იდეურ ნიადაგზე, როგორც დირექტორ ადმინისტრატორთან და სამუსიკო მოღვაწესთან, რომელიც პასუხის მგებელია კონსერვატორიის ბედის. თოთხმეტი წლის განმავლობაში ბ. ნიკოლაევი დირექტორად იყო, როგორც დანიშნული ტფილისის განყოფილების დირექციის მიერ. საბჭოს წევრნი გულნადვლიანად ჰხედავდნენ, რომ საქმეს არ ეტყობოდა არავითარი ხელმძღვანელობა, არავითარი სახელოვნო პროგრამა, როგორც საფუძველი საქმისა, სახელოვნო საბჭო ჰგრძნობდა, რომ მოსწავლეთა სამუსიკო თეორიის ცოდნის დონე მეტად სუსტდებოდა; რომ მოსწავლენი სასწავლებლის ზღუდეთა შორის მრავალი წლის ყოფნის შემდეგ გადიან ისე, რომ ელემენტარული თეორიის ეგზამენსაც კი ვერ აბარებენ; რომ სასწავლებელში არ არის არც ხორო მომღერალთა, არც ორკესტრი დამკვრელთა; რომ ყველაფერი კეთდება შინაურულად, თანვე სდევს უგულობა; რომ საჭირო მოსწავლეთა ცოდნის უფრო მკაცრი მოთხოვნა და რომ გამოყენებულია ისეთი პედაგოგიური სისტემა, რომელიც სასიამოვნო და სასურველია ნაკლებ შეგნებულ მოსწავლეთათვის. საბჭოს წევრნი კარგად ჰხედავდნენ საქმის ასე დაყენების ღრმა უნორმალობას, მაგრამ უუფლებო საბჭოს, რომელიც ორ-ჯერ-სამჯერ შეიკრიბებოდა წელიწადში, არ შეეძლო გადაედგა სწორი ნაბიჯი საქმის გასაუმჯობესებლად, რადგანაც საბჭოს ყოველი წევრი რომელიც დირექტორს ან დირექციას ოპოზიციაში ჩაუდგებოდა, დაუყოვნებლივ დათხოვნილ იქნებოდა, რისი მაგალითიც არა ერთი ყოფილა.

განხორციელება რუსეთის სამუსიკო საზოგადოების უმთავრესი დირექციის განზრახვისა, რომ სამუსიკო სასწავლებლები დიდი პროვინციალური ქალაქებისა გადაკეთებულიყო კონსერვატორიებად, განზრახვად დაიდვა ტფ. სამუსიკო სასწავლებელმაც, რომ კონსერვატორიად ქცეულიყო (სარატოვის, კიევის, ოდესის და ხარკოვის, სამუსიკო სკოლებთან ერთად.) ამას ხელს უწყობდა ენერიგული მოქმედება ზოგიერთ მასწავლებელთა, რომელთაც მოახერხეს, თავიანთი მედგრობით, თუმცა გაშრომ ატმოსფერა ხელს უშლიდა, რომ მუსიკის სწავლება თავიანთ კლასებში სათანადო სიმაღლეზე აეყვანათ, შეამდგომლობისათანავე, რომ ტფილისის კონსერვატორია ვადაზე ადრე გახსნილიყო, სახელოვნო საბჭომ 1917 წლის მარტის 27 დღის სხდომაზე ერთხმად ამოირჩია დროებითი დირექტორად ნ. დ. ნიკოლაევი. ასეთი ნაბიჯი გულწრფელობით იყო გამოწვეული. საბჭო დარწმუნებული იყო, რომ სახელოვნო საბჭოს მიერ იმ დღიდან მოპოვებული ავტონომია მისცემდა შეძლებას ბ. ნიკოლაევს, დაყრდნობოდა თავის მოღვაწეობაში საბჭოს. განვლითარებინა მხნეობა და საშუდამოდ ჩამოშორებოდა იმ გზას, რომელზედაც მანამდე იდგა, როგორც ორგვარ მდგომარეობაში ჩაყენებული როგორც დირექციის წევრი ერთის მხრით და როგორც დანიშნული თავმჯდომარე საბჭოსი მეორის მხრით. მაგრამ პირველმავე თვეებში ცხად ჰყო, რომ ახალი მოთხოვნილება ძნელი მისაღები იყო ბ. ნიკოლაევისათვის საბჭოს უფლებობაზე აღზრდილს ბ. ნიკოლაევს არ შეეძლო შეჰრიგებოდა საბჭოს ინიციატივას; რამდენიმე გარდაწყვეტილება საბჭოსი მაუდ ქვეშ იყო ამოდებული, რამდენიმე დაწესებული კომისია თითქმის არც ერთხელ არ შეკრებილა, კონსერვატორიის გამგეობას ემჩნეოდა უწინდელი უწესრიგობა; დირექტორი კონსერვატორიაში მოდიოდა ყოველ დღე ერთი ან ორი საათით, ხშირად ორი სამ დღეობით სულ არ დადიოდა კონსერვატორიაში, უმთავრესი კი სასწავლებლის საქმეს წარმატება და გაუმჯობესება არ ეტყობოდა. 850 მოსწავლეთაგან, პარმონიის პირველ კურსის გაკვეთილებს ესწრებოდა დაახლოვებით 15 მოწაფე, მეორე კურსის—10, ენციკლოპედიისას 2 და 3 მოწაფე. მეტი ანორმალობა სასწავლო საქმის შეუძლებელია. სახელოვნო საბჭომ აპრილის 7 დღის ვოტუმი პროტესტია საქმის ისეთი წარმოებისა; მას გარდა საბჭოს უმეტესობამ ვოტუმით გამოსთქვა სურვილი, რომ აწიერიდან კონსერვატორიის სათავეში იდგეს სამუსიკო მოღვაწე, რომელიც გულკეთილი და შემგუებელი იქნეს ახალი ხელოვნების საქმის და მოთხოვნილების. მაგრამ სახელოვნო საბჭომ აპრილის 11 დღეს ამავე 1918 წლ. ერთხმად დაადგინა ნ. დ. ნიკოლაევს, როგორც ნიჭიერ პიანისტს მიანდოს ფორტეპიანოს სპეციალური კლასი. ნიკოლაევის კენჭით გაშავებამ გამოიწვია უკმაყოფილება ზოგიერთ მოსწავლეთა. რომელნიც ანგარიშს არ უწევენ საბჭოს გულის ზრახვასა. არა მცირედი გავლენა იქონიეს ნიკოლაევის თაყვანის მცემელთა და საზოგადოების წრეების იმ ნაწილმა, რომელსაც ბ. ნიკოლაევი ეყრდნობოდა თავის წინანდელი მოღვაწეობის დროს, ამავე დროს კი თუმც თვითონ ბ. ნიკოლაევმა ოფიციალურად განაცხადა, რომ იგი დირექტორად ჰრჩება პირველ ენკენისთვემდე, არც ერთხელ არ მოსულა კონსერვატორიაში აპრილის 7-დან. ბ. ნიკოლაევს უნდა სცოდნოდა, რომ იგი მოვალე იყო ან ეცნო გადაწყვეტილება საბჭოს უმეტესობისა და დაჰმორჩილებოდა, აგრეთვე დაეწყნარებინა და დაეყოლიებინა მოსწავლენი ნ გაე პროტესტებინა საბჭოს გადაწყვეტილება. თუმცა მოიმიზეზა ავადმყოფობა რასაც არ დაუბრკოლებია რამდენსამე კონცერტში მონაწილეობა მიეღო, ბ. ნიკოლაევი ერთხელაც არ გამოცხადებულა კონსერვატორიაში ასასრულებლად სახელოვნო საბჭოს თავმჯდომარის და დირიქტორის მოვალეობისა. სახელოვნო საბჭოს მიაჩნია ასეთი მოქმედება ბ. ნიკოლაევისა შეუწყნარებლად.

თავის მხრით ავტონომიური სახელოვნო საბჭო საბოლოოდ აცხადებს, რომ ამას იქით, როგორც ეხლაც, იხელმძღვანელებს სინიდისს და ინტერესს იმ ხელოვნებისას, რომელსაც ემსახურება.

ხმა მისცეს: ზაქ. ფალიაშვილი, ვლ. სემიკოლოვი მსტ. ვინოგრადოვი, ილ. აიხბერგი, ლ. ტრუსკოვსკი, გ. ნეიგაუზი, ე. გუზიკოვი, მ. კანდურალოვა, ნ. ფედოტოვა, ა. ტერ გონდიანი, ე. ბროჯი, ნ. ლევიცკი, კ. მინიარი, ვ. ვილშაუ, ე. შტრეიმერისა, ა. მარკოზოვი, ა. კუტუზოვა ზელიონისა, ი. სტახოვსკაია, ლ. მადერი, ა. თულაშვილი, ს. სულხანიშვილი განგებლოვისა.

წინააღმდეგი იყვნენ: მ. გაბაშვილისა, გ. კარსოვი, თ. ტერ-სტეფანოვისა, მ. უნტილავა-სარაჯევისა, ნ. ცატუროვისა, ა. ზანზინა-რატნერისა.

ხმა არ მისცეს სრულებით: ფ. კესნერი, მ. ლედნიკი.

## ტრაპიზონში დარჩენილი ქართველი ტყვე ჯარის კაცები.

მეხუთე ქართული პოლკისანი: თვალაბაშვილი იოსებ გიორგის ძე, ნაკაიძე ივანე გლახუნას ძე, თვალაბაშვილი სერგო გიორგის ძე, წინარიძე ლუარსაბ მიქელის ძე, ჩოგოვაძე ვალერიან ესტატეს ძე, გიორგაძე აკაკი სარდიონის ძე, ასკილაშვილი ვასილი სიმონის ძე, ცეფაშვილი თევდორე იოსების ძე, ხარებაშვილი ვასილი სპირიდონის ძე, ბალაჯალაშვილი ალექსი მიხეილის ძე, გიოშვილი ნიკოლოზ ლევანის ძე, გალაშვილი მათე მათე ივანეს ძე, ქუმელაშვილი დიმიტრი გიორგის ძე, პაპაძე არსენ ელისბარის ძე, თავბერიძე აპოლონ კვლილის ძე, წიკლაური ზაქარია იოსების ძე, ზარაძე ვასილი ვლადიმერის ძე, ბადათურია ვლადიმერ ფარნას ძე, ჩანადირი ვარდენ მიხეილის ძე, ფოფხაძე იაკიმე ვლადიმერის ძე, ვაწაძე ემანოს გიორგის ძე, ბურჯანაძე ნოე სარდიონის ძე, ჰინჯარაძე კირილე გიორგის ძე, აზმაფარაშვილი თეიმურაზ დავითის ძე. გოგინაშვილი გიგო ვასილის ძე, ვლადიმერ ვასილის ძე, შალვაშვილი ივანე ილიას ძე, ბექაშვილი ივანე მიხეილის ძე მათიაშვილი გიორგი გიორგის ძე, კაციტაძე გალაქტიონ ბეჟანის ძე, მელაძე თედო გრიგოლის ძე, ქელენტი არტემ ლიახოზის ძე, კუპრეიშვილი არტემ ფილიპეს ძე, მაზანაშვილი დავით სოლომონის ძე, გოგიევი ილო ალექსის ძე, ჭიშკარიანი მიხეილ ილიას ძე, ბებურიშვილი გიორგი სოლომონის ძე, ირემაძე ილია ანდრიას ძე, ქოდანაშვილი დავით, ილიკო. თვარაძე დანიელ დავითის ძე, გიორგობიანი ლავრენტი ნესტორის ძე, გაგანიძე პეტრე მელიტონის ძე, ბოჭორაშვილი ილია ნიკოს ძე, შაუაშვილი ვასილ პავლეს ძე, დავლაშერიძე შიო ზაქარიას ძე, კვაჭარაძე ყარამან ივანეს ძე მესხი ძე, (ქართ. პოლ.) აბულაძე კალისტრატე ირაკლის ძე.

**პარტიზანის რაზმელები:**

თაბაგარი ალექსანდრე სეჩინოს ძე, გოგიბერიძე ნიკიფორე ქიშავარდია, წულეისკირი ევგენი მანუჩარის ძე, ბრეგვაძე პეტიკა სიმონის ძე, ნადირ გულიევი, მიქავტაძე ტრიფონ იოსების ძე, მურვანიძე სოლომონ ონისიმეს ძე, გოგიჩაიშვილი კაპიტონ ბესოს ძე, თუგუში მიტროფანე პავლეს ძე, გოგიბერიძე ნიკიფორე პეშვატადის ძე, მურვანიძე ყარამან იოსების ძე, მურვანიძე ილიკო იოსების ძე, მურვანიძე კონსტანტინე გიორგის ძე, სარჯველაძე არიო სერგოს ძე, გიგინეიშვილი ბარნაბ სერგოს ძე, გიგინეიშვილი ფარნა ნიკოლოზის ძე, გიგინეიშვილი შოთა გიგოს ძე, გიგინეიშვილი მიხეილ ნიკოლოზის ძე, ბოლქვაძე შალვა სიმონის ძე, ორაგველ ძე ნიკო კირილეს ძე, მურვანიძე მიხეილ კონსტანტინეს ძე (დაჭრილია), მურვანიძე ნიკო ალექსანდრესძე (დაჭრილია,) მამულაიშვილი დიმიტრი მიხეილის ძე, ზოიძე ილიკო, მალასონია გაბრიელ ჯავახაძე ბარნაბ, გოგატაძე გიორგი, სურმავა ივანე, დანიელია ისლამ უშანტია.

**მე-4-ე ქართ. პოლკი.**

სურგულაძე შალვა იაგორის ძე, ურუშაძე აპოლონ ამბაკოს ძე, ქავთარაძე თევდორე სიმონის ძე, ქავთარაძე ევტიხი დიმიტრის ძე, ღლონტი ილარიონ ლევანის ძე, ცაგაძე მოსე ისიდორის ძე, დარჩია ვლადიმერ ივანეს ძე, ჰელიძე გიორგი მოსესძე. მიქაძე ერასტი ვარდეს ძე, გიორგაძე ბაგრატ—5 ქრ. პ., ზაქრაძე აკაკი ბესას ძე, ერაძე ალექსანდრე, ჩეკურაშვილი ალექსი რუტას ძე გამკეთლაძე გრიგოლ სარიდანის ძე, წიკლაური ზაქრო, ხუციშვილი ზაქარია ალექსის ძე ბრეგვაძე ნესტორ ზოსიმეს ძე, რამიშვილი სვიმონ ნოდარის ძე, ბერაძე ვლადიმერ გიორგის ძე პარტიზა. გომგაძე ელისე მე-5-ე ქარ. პ., თენაძე ნიკოლოზ, გელაშვილი დომენტი პავლეს ძე. ქამუტაშვილი პავლე დიმიტრისძე, შარბანაშვილი არსენ სოლომონისძე, მეავია სევერიან ისააკისძე, ოვაშვილი მიხეილ, დიდებაშვილი ივანე სიმონისძე, შერგილაშვილი სოველი. კანდელაკი გიორგი ვასილისძე, კალანდარაშვილი ილია გიორგისძე, გელაშვილი ილია გიორგისძე, ბექური ივანე ანტონისძე, სულხანიშვილი ნიკოლოზ გიორგისძე. კობახიძე გიორგი ვასილისძე, ჰანჯარაძე არხიპ ნიკოლოზის ძე, სანიკიძე ევგენი, სამხარაძე სიმონი, შენგელია პარმენ, ნოზაძე სამსონ მძიმე ავადაა, გულიაშვილი დავით, მელუა არტემ, იაშალაშვილი ვართან, თურგილიშვილი ალექსი გიორგისძე თოფჩიშვილი კაკოლი ივანესძე.

**ხაავათმყოფოში წვანან.**

ირემაშვილი დავითი, მაჩხიძე მიხეილ, თვარაძე დავით—პარტიზანია, მარგიშვილი ივანე მე-5-ე პოლკ., ძლონიაშვილი სპირიდონ, მოისოვი მოსე ივანესძე ბერძენი, ტარანსკი ნიკოლოზ ივანესძე პოლონელი, ბლიმკინ დიმიტრი ზოტის ძე რუსი, ს. ალექსეევკის მცხოვრები ბათომის ოლქიდან. ცოცხელაშვილი კონდრატი მე-5 ქართ. პოლკისა მოკლულია, მიქაძე ბორის. მაზ. მოკლულია, ხურომშვილი ივანე მოკლულია, შვანგირაძე ფარნაოზ მოკლულია, ხუბაშვილი ლიმანშია, თედიაშვილი დავითი.

**მე-5-ე პოლკისა.**

ბაბაქიშვილი ივანე, დიარაშვილი ივანე, ბერაშვილი ივანე, არჩუაძე სოლკა, კოსაშვილი ნიკოლოზ.

## უკრაინა და საქართველო

(დასასრული*)

უნდა გითხრათ, რომ ჩვენ წინააღმდეგნი ვიყავით, რაიმე მონაწილეობის მიღებისა თუნდა ქალაქის დაცვაში. ამიტომ ყოველთვის ვცდილობდით, რომ კომისარიატს ყველგან მცველები მოეხსნა, რადგანაც ესეც ერთგვარი ნეიტრალობის დარღვევა იყო.

კომისარიატმა, კომ. ჩუდნოვსკის ბრძანების შემდეგ, დამატებითი ბრძანება გამოსცა, რომელშიაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჩვენ საბჭოების ჯარის შემადგენლობაში არ შევდივართ და რომ ქართული ლაშქარი ემორჩილება მხოლოდ ქართ. სამხ. კომისარიატს გარდა ამისა ნათქვამი იყო, რომ ჩვენ სრულ ნეიტრალობას ვიცავთ უკრაინის ტერიტორიაზე.

რამდენიმე დღის შემდეგ ჩვენ ვაიძულეთ სამხ. კომისარიატი სრულიად მოეხსნა მცველები, რათა მათ ყოველგვარი ხმები და ეჭვები ერთხელ და სამუდამოდ აგვეცილებინა.

დაწვრილებით არ შევეხები ქარ. სამხ. კომისარიატის მოქმედების განხილვას. ამას შეასრულებენ ის პირნი, რომელთაც დავალებული აქვთ; წინააღმდეგ შემთხვევაში მას მოუნდება ცალკე წერილი. ეხლა კი არ დავშორდები დასახულ მიზანს.

„ბოლშევიკებმა“ კიდევ ერთი შესანიშნავი დეკრეტი გამოსცეს—უკრაინის დამოუკიდებლობის გაუქმება. არ ვიცით კიდევ რას მოიქმედებდნენ დიდხანს, რომ დარჩენილიყვნენ. მაგრამ დღეები გადიოდა და ცა მათთვის თანდათან იღრუბლებოდა. 25 იანვარს გაიმართა უკანასკნელი სხდომა სალდათთა და მუშათა დეპუტატებისა „ვაჭრების საკრებულოში“, რომელზედაც გადასწყვიტეს უბრძოლველად დაეტოვებინათ ქალაქი ამ კრებაზე იყო გამოთქმული აზრი გადაეცეს ქალაქი დასაცავად „ქურდ-ბაცაცებისაგან“ ქარ. სამხ. კომისარიატს, რასაკვირველია უკრაინელების შემოსვლამდე. „ბოლშევიკები სასწრაფოდ აბდენდნენ ევაკუაციას.

რაც კი შეეძლოთ თავისი თუ სხვისი სიჩქაროდ გაზიდეს.

„ბოლშევიკების“ დროს მოკლული იყო, მრავალთა შორის, ერთი ქართველი ექიმი ფურცელაძე, რის გამოც მათ მთავრობის წარმომადგენელმა „სინანული“ გამოსთქვა და „ბოდიშიც“ მოიხადა. ეს იყო პოლკ. მურავიოვი.

მთელს ქალაქში შეიარაღებული ძალა მარტო ჩვენ ვიყავით, ამიტომ ყველა ორგანიზაციები ჩვენგან მფარველობას მოითხოვდნენ. სამხ. კომისარიატმა იკისრა ქალაქის დაცვა.

ჩვენს განკარგულებაში იყო 16 ავტომობილი, ცხენები, მრავალი თოფი და ტყვიისმფრქვეველი. უნდა გითხრათ, რომ ქართველობამ იჟაურ მცხოვრებლებს დიდი სარგებლობა მოუტა-

*) იხ. „სახალხო საქმე“ № 262.

ნა. ყველანი მხოლოდ ჩვენზე ამყარებდნენ იმედებს და მხოლოდ ჩვენ შიგაჩდით საიმედო მცველებად. თუმცა ჩვენ სამხ. კომისარიატს მრავალი დეფექტი აღმოაჩნდა შემდეგში, მაგრამ ქალაქი, ასეთ თუ ისე, ხულიგნების შემოსევისაგან გადაარჩინა. ასე გაგრძელდა კიევის ჩვენი მფარველობა 8—10 დღე. 5 თებერვალს, სალამოს 8 საათზე ქ. კიევის სადგურზე შემოვიდა გერმანელი კომენდანტი უკრაინელ ჯარების მთავარ-სარდალ-პეტლიურასთან ერთად. გერმანელებმა მაშინვე შეიღეს ზომები კიევის სადგური გაესუფთავებინა. მოსამსახურეებს კი უბრძანეს დაწესებული ფორმა ჩაეცვათ. მეორე დღეს უკრაინელები ეროვნულ დროშებით შემოვიდნენ თავის დედა-ქალაქში სიმღერით და მუსიკით. ხალხი სიხარულით მიეგება. შემდეგ გერმანიის ქვეითა ჯარი შემოვიდა, სრულიად უჩუმრად; მაგრამ მათ მაინც მრავალი ხალხი შეხვდა ყვავილებით და ვარდებით. იმ დღესვე გერმანელებმა ქალაქის გარეგნულ სახეს ყურადღება მიაქციეს და გასცეს სასტიკი ბრძანება, 24 საათში ქალაქი გაესუფთავებინათ. რუსის კონტრ-რევოლიუციონერებმა გერმანელების მოსვლით გახარებულებმა გაიკეთეს პოგონები და მენდლები.

იმ დღესვე გამოჩნდნენ თეთრ გვარდიელები და ქალაქში ავტომობილებით სრიალი დაიწყეს. მაგრამ ილიუზია შემობრუნებულმა ცენტრალურმა რადამ გაუფანტა. მან გასცა ბრძანება, რომ რუსის ოფიცრებმა მოიხსნან ყველა სამხედრო ნიშნები და იარაღი ჩააბარონ.

ოფიცრები დაემორჩილდნენ. მემარცხენე რადა უკვე გამარჯვენებულიყო და აღარავის რბილათ არ ეპყრობოდა. რადა მოქმედებდა გერმანელების გავლენის ქვეშ. სწორედ ამ დროს უკრაინის სხვა და სხვა გუბერნიებიდან ჩამოვიდა ქ. კიევში 7—8 ათასი დელეგატი, 8 მილიონის მცხოვრებლებისაგან, რომელიც სთხოვდა სასურსათო მინისტრ კოვალევსკის სოციალური რეფორმები გაეუქმა და კერძო საკუთრება აღედგინა. ამავე დროს გერმანიის ჯარების მთავარსარდალმა გასცა 2 ბრძანება: 1. გლეხებს უბრძანებს დაუბრუნოს ყველა წართმეული მიწები პატრონებს და 2. დასთესონ საჭიროდ ცარიელი მიწები.

ცენტრალურმა რადამ ამ ბრძანების გამო იქონია სხდომა და გამოიტანა პროტესტი. მან გაუგზავნა ნოტა გერმანიის მთავრობას, სადაც აღნიშნავს ხელშეკრულობის დარღვევას მთავარსარდლის მიერ. ხელშეკრულებაში ნათქვამია, რომ გერმანიის მთავრობა არ ერევა უკრაინის შინაურ ცხოვრებაში. ამ დროს დაიკარგა ცნობილი კაპიტალისტი დობრი—გერმანოფილი. იგი იყო თავმჯდომარე „საქონლის გამცვლელ კომისიისა“. გერმანელებმა დობრის გატაცება უკრაინის მართებლობას დააბრალეს და ჩასთვალეს ეს როგორც გერმანოფობის მოძრაობა და ყველა ზემოთ მოყვანილი ფაქტები გერმანელებისათვის უკვე იყო საკმაო საბაბი. მათ მარტის პირველ რიცხვებში დაატყვევეს მთელი რადა. რესპუბლიკის პარლამენტში შევიდა 15 ჯარისკაცი და ერთი ლეიტენანტი, რომელმაც გამოუცხადა იმპერატორ ვილჰელმის სახელით, რომ რადა დაპატიმრებულია. შემდეგ პარლამენტის წევრები გაჩხრიკეს და ზოგი დაატყვევეს. პრ. გრუშევსკი გაიქცა მეორე დღეს ქალაქ გარედ და თანამკრძნობ ჯარისკაცებს აგროვებდა. მესამე დღეს, ნაშუადღევის 12 საათზე, ცირკის შეიკრიბნენ 8 მილიონის წარმომადგენელნი. დიდი უმრავლესობა მათი იყო მსხვილი მემამულე მესაკუთრენი, ხოლო სულ მცირე ნაწილი—წვრილი მესაკუთრენი. ეს დელეგაცია იმ დღეს ორად გაიყო: მემარჯვენე და მემარცხენე ფრთად. დიდი უმრავლესობა მემარჯვენე აღმოჩნდა. ცირკის შენობას გერმანელი ჯარისკაცები იცავდნენ. ცირკის შენობაში ითქვა რამდენიმე მხურვალე სიტყვა ძლიერ მთავრობის საჭიროებაზე და „უნტაზიორ-სოციალისტების“ შესახებ. უცბად წამოიძახეს:

— გაუმარჯოს გეტმან სკოროპადსკის!

ხალხმა იყვირა და ურას ძახილით შეხვდნენ გეტმანის ამორჩევას ამ დროს სკოროპადსკი, ჩოხაში გამოწყობილი, ლოჟიდან გადმოდგა და მოკლე სამადლობელი სიტყვით მიჰმართა შეკრებილთ. ამის შემდეგ გეტმანი მიიყვანეს სოფიის ტაძარში, აკურთხეს და სასახლეში წაიყვანეს. ხალხი აუარებელი დაესწრო მის კურთხევას.

გეტმანის ამორჩევის შემდეგ იწყება მეტად მძიმე ცხოვრება მუშებისათვის. ჯერ რადის დროს იხურებოდა გაზეთი გაზეთზე და არც ერთ კავშირს არ შეეძლო გაემართა კრება ნებადაურთველად; გეტმანის დროს კი წამოჰყვეს მოურიდებლად თავი რუსის კონტრ-რევოლიუციონერებმა. ისევ ბრჭყვიალა პაგონები გაიკეთეს, თეთრი კლავსახვევები გამოიჩინეს და ბრწყინვალე გეტმანს მარჯვენა მხარე დაუმშვენეს. გერმანელებმა კი უკრაინის ჯარს იარაღი აჰყარეს და მით ყოველივე რევოლიუციონური მოძრაობა „უზრუნველჰყვეს“.

რუსის თეთრგვარდიელებმა ააწიოკეს მუშათა ორგანიზაციები, დაუწყეს სასტიკი დევნა და სულ აუზნიეს ნაცადი რევოლიუციონური გზა. პირველ მაისს აუკრძალეს ყოველივე კრება, მიტინგი და დემონსტრაციები. მუშებს უნდოდათ პროკლამაციები გაევრცელებინათ, მაგრამ ვერ მოახერხეს. წითელი დროშები არსად არ მოჩანდა. მხოლოდ პროფესიონალურ კავშირის შენობაზე ერთი წითელი დროშა ობლად იყო გამოკიდული.

პირველ მაისს ქართველმა სოციალისტებმა თავი მოვიყარეთ კომისარიატის ბინაზე და იქ შეძლებისდაგვარად ვიდღესასწაულეთ პირველმაისობა. მაგრამ ყველა ფანჯრებზე ფარდა გვქონდა ჩამოკიდებული, როგორც ნიკოლოზის დროს, რომ არ შეემჩნიათ ჩვენი წითელი დროშა. ამ დროს ქალაქის ყოველ ქუჩაზე და კუთხეში გერმანელებს ტყვიისმფრქვევლები დაედგათ და დიდის სიდინჯით ქალაქს იცავდნენ.

სულ უფერულად ჩაიარა პირველმა მაისმა, მაგრამ უფრო სამწუხაროა, რომ მთელი თვეები უფერულად მიმდინარეობდა.

აპრილის პირველ რიცხვებში „მინისტრულმა საქართველომ“ ქ. კიევში გაიგო საშინელი და გულსაკლავი ამბავი ბათუმის დაკარგვისა. ჩვენ დიდი ხანია გადაწყვეტილი გვქონდა საქართველოში დაბრუნება, მაგრამ წამოსვლა ადვილი საქმე არ იყო. ერთი მხრით პირობები, და მხოლოდ ობიექტიური, ხელს არ გვიწყობდნენ და მეორეს—კომისარიატის არსებობა. ასე თუ ისე ვძლიეთ მაინც ყოველივე დაბრკოლება და მაისში კიევიდან გამოვემგზავრეთ და ხუთი კვირის შემდეგ საქართველოს დედაქალაქში ჩავედით. უნდა გულახდილად გითხრათ, რომ გულს შემოგვეყარა, როდესაც ძველი რუსეთის საქართველო დავინახეთ. არავითარი გარეგნული ცვლილება არ მოეხდარა. სადგურებზე რუსული წარწერები დაგვხვდა, რუსულად მოლაპარაკეები (სადგურის უფროსები და სხვა მოსამსახურეები), არსად ეროვნული დროშა არ იყო გამოკიდული და ჩანდა, რომ არავითარი ზომები არ იყო მიღებული გაეროვნებისათვის. შინაურ ცხოვრებაშიაც არაფერი გაკეთებულა. კონტრ-რევოლიუციონერები თავისუფლად დაიარებიან და საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ პროპაგანდას ეწევიან. გაზ. „რევოლიუციონური დროშა“ პირდაპირ კონტრ-რევოლიუციონურ იდეებს ჰქადაგებს და მთავრობა ამ გარემოებას ყურადღებას არ აქცევს. მოგახსენებთ, რომ სახელმწიფოს შენება კაბინეთებში ლაპარაკით არ ისაზღვრება, არამედ პრაქტიკულ, რეალურ ზომებით. გვიკვირს, რომ აქამდის სხვა და სხვა დაწესებულებანი ძველებურად, ძველი შემადგენლობით განაგრძობენ მუშაობას. გაეროვნება იგვიანებს, მაშინ, როდესაც შედარებით სუსტმა უკრაინის ერმა გაცილებით მეტი შესძლო სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში. მივაქციოთ ამ გარემოებას ყურადღება, თორემ გერმანელები არ არიან იმდენად გულუბრყვილონი, რომ ვერ ხედავდნენ სად შემოვიდნენ—საქართველოში თუ ნიკოლოზის რუსეთის პროვინციაში.

[illegible], გაბედული მუშაობა, თორემ შემდეგ გვიან იქნება.

**გიორგი ნათაძე**

## ქართულ უნივერსიტეტის გამგეობის საყურადღებოდ

ეხლახანსა ვნახე ერთი ახალგაზრდა მასწავლებელი ქალი. იგი სწავლას ფრიად არის მოწყურებული, მაგრამ საშუალება არა აქვს ტფილისში იცხოვროს და ქართულ უნივერსიტეტში მეცნიერების წყაროს დაეწაფოს. მას გარდაუწყვეტია უნივერსიტეტში ჩაეწეროს, მაგრამ იცხოვროს პროვინციაში, ლექციებისა და სხვა წყაროების შემწეობით მოემზადოს და დანიშნულ დროს სხვა სტუდენტებთან ერთად ჩააბაროს სათანადო გამოცდა. მას პირდათაც უნახავს უნივერსიტეტის ერთი პროფესორთაგანი და თავისი აზრი გაუზიარებია, მაგრამ... მაგრამ ჯერ-ხანად პასუხი უიმედო მიუღია: მაგას ჩვენ, ვგონებ, ვერ დავაკანონებთ... ვისაც სურს სწავლის შეძენა, ლექციები პირადად უნდა ისმინოსო. საკითხი, ვგონებ, ინტერესს არ არის მოკლებული და საჭიროობოტოა და იმედია უნივერსიტეტის გამგეობა მას ახლავე მიაქცევს ყურადღებას.

ქართული უნივერსიტეტი ახალი ლამპარია, რომლის შუქმა თან და თან უფრო და უფრო უნდა მოიცვას მტრის ხელისგან დასუსხული გადახრუკული საქართველოს მიდამოები. უნივერსიტეტმა ჯერ ისევ გუშინ ამოისუნთქა პირველად და მისი გული სწავლა-მოწყურებული ქართველი ახალგაზდობით აევსო, იგი უფრო გაფართოვდება და უმაღლეს სწავლის მოსურნენი უფრო და უფრო მიეტანებიან. ყოველი საკითხი, რაც უნივერსიტეტის ცხოვრებას და სწავლის გაფართოვების საქმეს შეეხება, დროზე და სათანადოდ უნდა იქნეს გადაწყვეტილი; რათა უმაღლეს სწავლის საქმე ფართოდ და კარგად იქმნეს დაყენებული და ჩვენს ახალგაზდობასაც საშუალება ჰქონდეს ადვილად დაეწაფოს მეცნიერების წყაროს. აი, სხვათა შორის, ეს საკითხიც მოითხოვს დაუყოვნებლივ გადაწყვეტას: შესაძლებელია თუ არა, სტუდენტმა, მსმენელმა პირადად არ ისმინოს ლექციები, შინ, პროვინციაში მოემზადოს და შემდეგ, დანიშნულ დროს სხვა სტუდენტებთან ერთად სათანადო გამოცდა ჩააბაროს? რასაკვირველია ჩვენ არ ვგულისხმობთ მეცნიერების დარგს, რომელიც პრაქტიკულ მუშაობასთან არის დაკავშირებული, მაგ. საექიმო ნაწილს, საინჟინროს, საბუნებისმეტყველოს და სხვ. ამ დარგთა მსმენელი აუცილებლივ აუდიტორიასა, კლინიკასა და ლაბორატორიაში უნდა ტრიალებდეს დღე-მუდამ, მაგრამ რა უშავს, ისტორიის, ენათმეცნიერო და სხვ. ნაწილის მსმენელს, თუ მას საშუალება არა აქვს ლექციები პირადად ისმინოს, შინ კარგად მოემზადოს და შემდეგ სათანადო გამოცდა ჩააბაროს? თუ პრაქტიკულმა სამუშაომ აქაც იჩინა თავი, ვთქვათ საარქეოლოგიო ექსკურსიები მოეწყო, ეს ხომ უნდა მოეწყოს ზაფხულად საზაფხულოდ და პროვინციელი უბრალო მსმენელი იქნება ის თუ ნამდვილი სტუდენტი, შესძლებს როგორმე მიიღოს მონაწილეობა ექსკურსიაში. ჩვენი უნივერსიტეტი ხომ გამონაკლისს არ შეადგენს. ასე არ იძენდა მრავალი ახალგაზრდობა მაგალ. საისტორიო ცოდნას რუსეთის უნივერსიტეტებში? რად უნდა მოვაკლოთ ჩვენი ხელმოკლე, მაგრამ სწავლა მოწყურებული ახალგაზდობა საშუალებას შეიძინოს უმაღლესი ცოდნა და ცხოვრების გზა გაიკაფოს? ამგვარი ახალგაზრდები უნივერსიტეტის გამგეობისაგან არავითარ შეღავათს არ მოითხოვენ. ლექციები, მადლობა ღმერთს, იბეჭდება. მათი სტენოგრაფიული ჩაწერა და ბეჭდვის საქმე, უეჭველია, უფრო კარგად მოეწყობა. პროვინციელი სტუდენტები ლექციებს შეიძენს, და თუ პროფესორი მას დაეხმარა და შესაფერი სხვა წყაროებიც უჩვენა, ენერგიანი და სწავლა მოწყურებული ახალგაზდობისთვის, ვგონებ ესეც კმარა. გამოსცადეთ მერე როგორც გნებავთ მოსთხოვეთ ყველაფერი ის, რასაც მოსთხოვთ დანარჩენ სტუდენტობას. ექსტერნი როლა სიმწიფის მოწმობის გამოცდას აბარებს, განა იმას რაიმე შეღავათს აძლევენ? [illegible] ასე იქნება ჩვენს უნივერსიტეტშიაც. [illegible] უნივერსიტეტის აუდიტორიაში შეიძენს [illegible], [illegible] და ენერგიანი [illegible] კი [illegible], უნივერსიტეტს გარედაც მოემზადება ლექციებისა და პროფესორების დახმარებით (მაგალ. ისტორიაში). ქართველობა ხელმოკლე ხალხია. ქართული უნივერსიტეტის სამ მეოთხედზე მეტი სტუდენტობა საკუთარი მარჯვენით ირჩენს თავს და ისე იძენს მეცნიერებას. მაგრამ ეს შედარებით ადვილია. იმათთვის, ვინც ტფილისში სცხოვრობს. რა ჰქნას პროვინციელმა ახალგაზრდამ, რომელიც ხელ-მოკლეა და სწავლა კი სწყურია, სწყურია ისე ვით უდაბნოს წყალი? რა ჰქნას მეტადრე დღევანდელ ჯოჯოხეთურ პირობებში, როცა ლუკმა პურს ოქროს ფასი დაედო? სამუშაო კარგია, მაგრამ ყველა იშოვის ტფილისში სამუშაოს? ზოგს რომ დედა, მამა, ცოლი, შვილი ჰყავს სარჩენი, ძმა, და—გამოსაზრდელი?... რად უნდა დავუხშოთ მეცნიერების ტაძარის კარი ასეთებს? რად უნდა მოუსპოთ საშუალება თავისი ვალიც მოიხადონ და აღიჭურვონ ცოდნითაც და უფლებითაც ერისა და მამულის საკეთილდღეოდ?..

მრავალი პროვინციელი ახალგაზრდა, ხელმოკლე, მაგრამ სწავლა მოწყურებული, ელის ამაზე პასუხს და, იმედია, უნივერსიტეტის გამგეობაც ამ პასუხს არ დააგვიანებს.

**ხანგანიძე.**

## ტფილისის უნივერსიტეტი

**შემოწირულებანი:**

ტფილისის ქართულმა უნივერსიტეტმა მიიღო:

1) „თ. ა. მთავრიშვილმა და ამხ. წიგნის მაღაზიის გამოცემისაგან“ „დაწყებითი ალგებრა“ შედგენილი ვ. რ. ყიფიანის მიერ.

2) ჟურნალ „პირველი ნაბიჯის“ მიმდინარე წლის ნომრები ორ-ორი ცალი.

3) ვასილ ნიკოლოზის ძე მესხისაგან ქუთაისის სათარიგო პოლკის ოფიცერთა შორის შეგროვილი ოთხი ათას სამას ოც-და-თვრამეტი მან. (4,338 მან.) განსვ. ქ. აბაშიძის ხსოვნის აღსანიშნავად.

4) ჟურნალ „ჯეჯილის“ მიმდინარე წლის ორ-ორი ცალი.

5) სტუდენტ. გ. ბურჭულაძისაგან ერთი სპილენძის ფული ერეკლე მეფის დროისა.

6) ჟურნალ „პრომეთეს“ სანიმუშო ნომრის ორ-ორი ცალი.

7) ნატოჩავის (სამეგრელოში) საკრედიტო ამხანაგობისაგან 168 მან. და 24 კაპ.

8) საგარეჯოს კოოპერატივისაგან—გამოგზავნილი მასწავლებლის ალ. ლეჟავას მიერ—(300 მან.) სამასი მან.

უნივერსიტეტის გამგეობა ღრმეს მადლობას უცხადებს შემომწირველთ.

გამომცემელი
[illegible]
[illegible] კომიტეტისა

**იყიდება** სხვ. მეწველი ძროხა და პატარა სახლი, ერთად, ქალაქს გარეთ. ნახვა შეიძლება 9—12 ს. და 3—6. ბელინსკის ქ. № 40 მუსიაჩნკო. კვირა დღეობით 9—1 საათამდე. 660

ექიმი
**დ. ი. ჯაფარიძე**
შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი. ავადმყოფებს მიიღებს დილით 11—1 ს. სალამოს 5—7 ს. მასის ქუჩა № 7. ტელეფ. 17—49. 1153

ექიმი
**დ. ვ. ჯავახიშვილი**
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, ყოველ დღე, კვირის გარდა სალამოს 5—7 საათამდე. გუნიბის ქუჩ. № 41. ტელეფ. 14—09. 1032

ექიმი
**ა. მუსხელიშვილი**
[illegible] ავადმყოფთ დილის 12—2 საათ. [illegible] ქ. № 6.

ექიმი
**ნ. ი. მახვილაძე**
იღებს სპეციალურად მალარიით (ციებ) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, ხიხნის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვ. შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე სალამოს 4—6 ს. ელექტრიზაცია და მასსაჟი. მისამართი მიხაილოვის ქ. № 11. 426

ექიმი
**პავლე არდაზიანი**
დაბრუნდა. იღებს ბავშვთა და შინაგან ავადმყოფთ, დილის 8—9 ს. და სალ. 4—6 ს. მელიქოვის ქ. 12, 9 ფანი. 1002

**თვალის სამკურნალო**
მუდმივი საწოლით
**ექიმ დონხინისა**
რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ასისტენტად იყო ვენასა და პარიზში, თვალის კლინიკებში. თვალით ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—1 საათამდე და სალამოს 4—7 ს. მიხეილის პროსპ. № 141 (აპოლოს კინო-თეატრის მახლობლად), მძიმე და საოპერაციო ავადმყოფები სრული პანსიონითაც მიიღებიან. 620

ექიმი
**გ. მ. მუხაძე**
იღებს [illegible] ავადმყოფებს დილის 5—6 ს.—ზე კვირა დღეს გარდა. მისამართი: [illegible] ქ. № 67, [illegible] ტელეფ. 5—71. 1080

ექიმი
**კ. ტყეშელაშვილი**
ღებულობს ავადმყოფებს ვენერიულ, საშარდე და სასქესო მილის სნეულებანი, სიფილისი (606 და 914 შეშხაპუნება). სალამოობით $5\frac{1}{2}$—7 საათ. ყოველ დღე გარდა კვირისა კერძო სამკურნალო მიხაილოვის პროსპექტი № 167. 200

ექიმი
**ს. ლ. შალამბერიძე**
იღებს საბებიო და საშვილოსნოს ავადმყოფთ, სალამოს 5—7 ს. მისამართი პეტროგრადის ქ. № 7. 1027

ექიმი
**დ. შარაშანიძე**
იღებს ყოველ დღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ დილის 11—2 ს., სალამოთი 5—8 [illegible] ქუჩა, № 7. 2190

**მედიცინის დოქტორი**
მიუნხენის უნივერსიტეტისა
**ნ. ლ. ტურიაშვილი**
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 12—2 შუადღ. და 4—5 საღ.
შინაგანი, ბავშვებისა, საბებიო და საშვილოსნოს სნეულებანი.
ნიკოლოზის ქუჩა № 7. სიმბოვიჩის აფთიაქის გვერდით. 624

ექიმი
**ს. ზ. მირზოევი**
[illegible] 4—6 [illegible] 1009

ექიმი
**[illegible] მელაძე**
მიიღებს შინაგან [illegible] სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე სალამოს 6—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 117.

ექიმი
**ი. ი. ზერიშვილი**
დაბრუნდა და განაახლა მიღება ვენერიული, საშარდე ორგანოების, სიფილისის (შეშხაპუნება 606—914) და კანის ავადმყოფობისა. დილით 9—12 ს. და სალამოთი 5—8 ს. ქალების მიღება 12—1 ს. კვირაობით მხოლოდ დილით. მიხაილოვის შესახვევი სასტუმრო „ნოეს“ პირდაპირ № 8. 450

**მარტის 20 გაიხსნა**
**ახალი სამკურნალო**
ყოველგვარ ავადმყოფთათვის
**ექიმ. ე. მ. მძინარიშვილის და ლ. მ. ნაზარეტიანცის**
საავადმყოფოში იარსებებს კბილის საექიმო კაბინეტი ხელოვნურ კბილების ტეხნიკურ ლაბორატორიით.
მიხეილის პროსპექტის და „კიროჩნი“ ქუჩ. კუთხე № 22 (შესავალი კიროჩნი ქუჩიდან). ტელეფონი 10—87.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9 საათ. ნაშუადღევის 3 ს-დე.
ვენერიულ და სიფილისის ავადმყოფების მიღება—სალამოს 5—8-მდის. ქალების და ბავშვების მიღება 4—5 ს. ღარიბები უფასოდ მიიღებიან კვირაობით 10—12 ს. 327

**ექიმ ნავასარდიანის**
პირველი კერძო
**სამკურნალო**
(დაარსებულია 1880 წელს).
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ
ყოველ დღე (გარდა კვირისა
დილით:
**„606“ და „914“** 11—12 ს.
ნ. ა. ნავასარდიანი—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილის. ავადმ.)
გ. ი. მაშნერი: 9—10 ს. ქალებისა და საშარდისა.
ნ. გ. აგახაროვი: $9\frac{1}{2}$—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმ.
ავეტიხიანი—კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს $11\frac{1}{2}$ ს.
მ. გ. ბარხუდაროვი: 1—2 ს. ქალებისა და საბებიო ავადმყ.
მ. მ. ბენიამოვიჩი: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.
ნ. გ. ავეტისიანი—9—11 ს. საკუთარივ ბავშვთა ავადმყ.
სალამოთი:
ა. ნ. ახაკიანი: 6—7 ს. ქალური ავადმყ. და ქირურგიული.
რჩევა-დარიგება 1 მან. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ა. ნავასარდიანი. 1010

**„ახალი კონტორა“**
გაიხსნა
**ი. ი. ფიცხელაური**
სახლოთმოძღვრო ქარხანაში. კანტორის მიზანია, მყიდველი და გამყიდველი განათავისუფლოს ჩარჩებიდან; ყველა მყიდველი და გამყიდველი ყოველნაირი ავეჯისა მოძრავი ქონებისა
**ეწერება „ახალ კონტორაში“**
რითაც დიდად უადვილდება ყიდვა და გაყიდვა მსურველთ შეუძლიათ ჩაეწერონ, უბრალო ნივთებისათვისაც. შორიდან მოგვმართეთ წერილობით, ჩაწერა და ამოწერა ადრესების და ნივთებისა შეიძლება ყოველ დღე 10—1 ს. 2—6 ს. ფასი 1 მ. აქვე მიიღება ყოველნაირი საქმეები.
პეტრე დიდის ქუჩა 32. 661

**სტამბა**
**„სახალხო საქმე“**
იღებს ყოველგვარ სასტამბო საქმეებს: ყოველნაირ გამოცემათა, აფიშების, სადარბაზო ბარათების, კანტორის წიგნების და სხვათა დაბეჭდვას.
**საქმე სრულდება სუფთად და თავის დროზე.**
კანტორა მოთავსებულია ქუჩის პირად. ბარონის ქუჩა № 14. ტელეფონი 17—96

სტამბა „სახალხო საქმე“, ბარონის ქუჩა № 14